# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 26 თებერვალი 2005 №42 (2365) ფასი 50 თეთრი

# პროფესიონალი

## გეუბნები–თქვა, არ გინდათ ქვა!



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს რევოლუციური რაგბია:**

**საქართველო უკრაინა**

13

## ნიკოლოზის მეორე

### ცქიტიშვილი გოლდენ სტეიტში გაუშვეს

დედლაინის ბოლო დღეს ნბა-ში დიდი სატრანსფერო ორომტრიალი იყო და მრავალთა დარად 21 წლის ქართველმა ფორვარდმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმაც გამოიცვალა გუნდი. „დენვერი" დიდხანს ელოდა ქართველის ათამაშებას, რომელსაც 2002 წელს დრაფტის მე-5 არჩევანი დაახარჯა, თუმც ცქიტიშვილი არათუ ვარსკვლავებს, თავისი გუნდის ხუთეულსაც ვერ შეწვდა და საშუალოზე სუსტ მოთამაშეთა სატრანსფერო გარიგებაში მოჰყვა. დენვერელებმა ცქიტიშვილი და როდნი ვაიტი „გოლდენ სტეიტს" დაუთმეს ედუარდო ნახერას, ლუის ფლორესისა და 2007 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის უფლების სანაცვლოდ.



# პროფესიონალი გეუბნები – თქვა, არ გინდათ ქვა!

კობა ინასარიძე *ქუთაისიდან*

**ქუთაისი. 25 თებერვალი. 14 საათი. მაყურებელი 1 500 (ტევადობა 20 000)**

**ტორპედო 0:1 ზესტაფონი**

0:1 იონანიძე (90)

**ტორპედო:** მერლანი, გ. ახალაია, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ბაქრაძე, გამეზარდაშვილი, რაქვიაშვილი, კოშკაძე, ნერგაძე, სოსელია (რ. ჯიქია 63), მეგრელაძე
*სათადარიგონი:* გ. გაბელია; დ. ონიანი, ბარაბაძე, ებრალიძე, წუწუნავა, მ. ლონდაძე
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, ჩიკვილაძე, შ. ლონდაძე, ს. თოდუა, შავგულიძე, კვერნაძე (ძამსაშვილი 57), განუგრავა (ბ. ნოზაძე 69), კ. ჩხეტიანი, თურმანიძე, ზირაქიშვილი (ბ. გოცირიძე 78), იონანიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; გუჩუა, ძამსაშვილი, გვარუციძე, სულაკაძე
**მწვრთნელი:** დავით გენძეხაძე

**გაფრთხილება:** მეგრელაძე (21), ჩხეტიანი (31), ლონდაძე (75), ნოზაძე (83)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ურუშაძე, ზ. ჯგარიძე, ა. კრიჟაშვილი (სამივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

**დავიწყოთ იმით**, რომ „ტორპედოს" და მის სტადიონს ძალიან გასჭირვებიათ. საწყლები, თურმე, კაპიკებს სანთლით ეძებენ და იმის ფული არა აქვთ, დასავლეთ ტრიბუნის პრესლოჟად წოდებულ მცირე მონაკვეთში ერთი-ორი მაგიდისმაგვარი დაამონტაჟონ და ჟურნალისტებს ელემენტარული სამუშაო პირობა მაინც შეუქმნან.

სტადიონის დირექტორს ნოდარ ჭეიშვილს რომ ვთხოვეთ, ეგებ ლოჟაში ერთი ადგილი გამოგვიყოთო, მკვახედ მოგვიგო, არ მაინტერესებს თქვენი პრეტენზიები, წესია და ლოჟაში არ შეგიშვებთო. უაზროდ გაჯიქებულ ჭეიშვილს ის კი დაავიწყდა, პრესლოჟაში მაგიდის დადგმაც რომ წესია და ჟურნალისტს არ უნდა შესჩივლოს, ფიცრის, ლურსმნისა და მაგიდის გასაკეთებელი ფული არააო.

ჭეიშვილს „ადმინისტრაციული რქები" მხოლოდ მატჩის დირექტორის შოთა ხინჩაგაშვილის თხოვნის შემდეგ მოტყდა. დახმარებისთვის სწორედ ბატონ შოთას მივმართეთ და მისი დიდი მადლობლებიც ვართ...

იმერული დერბის პირველი ტაიმი, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ ჩამთავრდა, რაზეც შემდგომ ვიტყვით. ასევე უჩვეულოდ უსუსურად გამოიყურებოდა „ზესტაფონისა" და მისი მწვრთნელის თემურ მახარაძის ნაქები დაცვის ხაზი — სტუმრებმა იმდენჯერ და ისეთ ელემენტარულ სიტუაციებში შესცოდეს, სათვალავი აგვერია და ქუთაისელთა ფორვარდებს გია მეგრელაძეს და ალექსანდრე კოშკაძეს ოდნავ მაინც რომ ეყოჩაღათ, ემანდ, „ტორპედოს" საქმე შესვენებამდევე მოემთავრებინა.

მე-8 წუთზე მეგრელაძეს, მალევე კი კოშკაძეს, საგოლედ ურეალურესი შანსები მიეცათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მერე ორჯერ ისევ მეგრელაძეს უნდა გაეტანა — ორჯერვე კარს ააცილა.

ტაიმის ბოლოს კი მართლაც კომიკური ამბავი მოხდა „ზესტაფონის" საჯარიმოს მისადგომებთან — ერთბაშად სამ მცველს მიხეილ სოსელია ისე გასცდა, არ გადავაჭარბებ და, ასე იოლად 10-12 წლის ბიჭუნებს ვერ მოერეოდა. შედეგად სოსელია ზურაბ ქვაჩახიასთან პირისპირ დარჩა, ოდნავ ფლანგისკენ, თანაც უკვე წაქცეულ მეკარეს ბურთი ველარ აცილა და ოდენ კუთხურს გამორჩა. იქიდან ჩაწოდებულს კი კარიდან ორიოდ მეტრში მეგრელაძემ მაკრატელა დაჰკრა და ისევ უზუსტოდ. შესვენებამდე აღსანიშნი ესეც იყო — „ზესტაფონს" „ტორპედოს" კარისკენაც კი არ დაურტყამს. ზესტაფონელთა ქუთაისელებზე, ზურაბ იონანიძესა და კახა ჩხეტიანზე კი სათქმელიც არაფერია...

თამაშის სურათი, ფაქტობრივად, მეორე ტაიმშიც არ შეცვლილა: „ტორპედო" გამუდმებით უტევდა. „ზესტაფონის" დაცვა ქუთაისელთა ლამის ყოველი იერიშისას უხეშად ცდებოდა. ბურთი კი ქვაჩახიას კარში არანაირად არ შედიოდა და ქუთაისელთა ნერვიულობაც მატულობდა.

არბიტრ ზურაბ ანიაშვილს და მის თანაშემწეებს „ტორპედოს" ფეხბურთელებმა რაც დააკლეს, ქომაგებმა აუნაზღაურეს და ისეთი ბილწსიტყვაობის კორიანტელი დაადგა, მტერს და ავს. მავანი ემოციამოჭარბებული კი სულაც თანამსაჯ მამუკა ურუშაძეს ეცა და ხელიდან ძლივს გამოსტაცეს...

სასწაული ანიაშვილის მიერ ძირითად დროს წამატებულ მესამე წუთზე მოხდა — ფლანგიდან ზურაბ ძამსაშვილმა ჩააწოდა და იონანიძემ ისეთი გოლი გაიტანა, მხოლოდ ამის გამო ღირდა ამ მატჩის ცქერა — დაახლოებით პენალტის ნიშნულთან „იონამ" ნახევარბრუნში ისეთი დააჭექა, მეკარე გაოცებულ-გაშეშებული, ქომაგი კი სახტად დატოვა...

იქვე მატჩიც დამთავრდა და მსაჯებს დღე დაადგათ, ნუ იტყვით. ბოთლი, ქვა, შუშა, ხე, სკამი... მოკლედ, რაც კი ტრიბუნაზე იპოვეს, მაყურებლებმა მსაჯთა ბრიგადას არაფერი დააკლეს. ანიაშვილი და მისი თანაშემწეები მოედნის ცენტრში „გამაგრდნენ" და იქიდან ფეხი არ მოუცვლიათ.

და, რა თქმა უნდა, იქვე, ახლომახლო ოთარ გაბელიაც ტრიალებდა. მისი და ქუთაისელების აღშფოთების მიზეზი ის ორი სადავო ეპიზოდი იყო, მასპინძელთა გაგებით, მათ სასარგებლოდ დანიშნული პენალტებით რომ უნდა დასრულებულიყო, ანიაშვილმა კი წაუყრუა.

გაბელიას ზესტაფონელი კოლეგა თემურ მახარაძე კი სტადიონზე გუშინ საერთოდ არ ყოფილა...

პრესკონფერენცია დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჩატარდა. მახარაძის არყოფნაში პრესკონფერენციაზე დავით გენძეხაძე გამოცხადდა.

*დავით გენძეხაძე:* „ქუთაისში იოლი გასეირნება რომ არ გველოდა, კარგად ვიცოდით. ვაღიარებ, რომ შემთხვევით მოვიგეთ".

*ოთარ გაბელია:* „მომწყინდა მსაჯებზე ამდენი ლაპარაკი. ვერ გეტყვით, ვის, მაგრამ ვიღაცას აწყობს „ტორპედოს" წაფორხილება. შესაძლოა, მსაჯი „ზესტაფონზე" კი არა, რომელიმე სხვა გუნდზე მუშაობს. ისე, არც „ზესტაფონს" გამოვრიცხავ, მით უფრო, ამ გუნდმა სეზონის დაწყებამდე უკვე შეგულებული ფეხბურთელი თვალსა და ხელს შუა წაგვართვა...

გულშემატკივრებსაც ვერ გავამართლებ, არ შეიძლება ის, რაც მათ ჩაიდინეს. ამას შესაძლოა, მკაცრი სანქციები მოჰყვეს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ, საამისოდ ნიადაგი მზადდებოდა".



გუშინ ქუთაისში გოლების არა, მაგრამ ქვების წვიმა კი წამოვიდა...



ერთ დროს „ტორპედოს" გამზარდებელმა ზურაბ იონანიძემ ეს-ესაა მშობლიური გუნდი დაამწუხრა



ზესტაფონელების კარი ქუთაისელებმა ვერა და ვერ შეაღეს

## გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**

მიუნხენი 1:0 კოტბუსი
ესენი 1:2 ბურგჰაუზენი
ზაარბრიუკენი — კარლსრუე *გადაიდო*

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

მიუნსტერი 0:0 ვერდერი (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

ოფენბახი 1:2 რეგენსბურგი
კობლენცი — ჰოფენჰაიმი *გადაიდო*

## საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი**

ამიენი 3:2 ტრუა
კლერმონი 0:0 დიჟონი
კრეტეი — მონპელიე *გადაიდო*
გენიონი 1:0 ბრესტი
ლე ავრი 2:1 გრენობლი
ნანსი 0:1 ლავალი
ნიორი 0:0 ანჟე
რეიმსი 1:1 შატორუ
ლე მანი 3:0 სედანი

## ბელგია

**პირველი დივიზიონი**

მონსი 1:2 ანდერლეხტი
სტანდარდი 1:0 გენკი

## ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**

ნაიმეგენი 1:0 ვალვაიკი

**მეორე დივიზიონი**

აპელდორნი 3:2 ემენი
ვეენდამი 2:1 ვოლენდამი
დორდრეხტი 1:2 ზვოლე
ეინდჰოვენი 4:0 მაასტრიხტი
სიტარდი 0:1 ექსელსიორი
იგლსი 3:0 ჰელმონდი
სპარტა 5:0 ოსი
ვენლო 0:2 კამბური

## პორტუგალია

**სუპერლიგა**

ბრაგა — ჟილ ვისენტე [illegible]

## იტალია

**სერია B**

პიაჩენცა 1:0 ტორინო



ოთარ მარცვალაძის ერთადერთი გოლი

მცხეთა. 25 თებერვალი. 14 საათი. არმაზი. 800 (ტევადობა 3 000).

## ვიტ ჯორჯია 1:0 დინამო

1:0 მარცვალაძე (45)

ვიტ ჯორჯია: ქურაძე, ინწკირველი, თ. კობიაშვილი, გველესიანი, ბ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (გ. კვახაძე 38), რაზმაძე, ვ. გოჩაშვილი (ქუხილავა 88), მარცვალაძე, ჩილვინაძე (საბოკია 46)
სათადარიგონი: ბეღიაშვილი, დ. ლომაია, ებანოიძე, მაღრაძე
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

თბილისი: ზოიძე, დ. ოდიკაძე, ლ. სალუქვაძე, სილაგაძე, რომერო (ორბელაძე 86), კანდელაკი, კაშია (გ. ნუგ. ჭელიძე 54), ბაბუნაშვილი (დვალი 64), ჯამარაული, კაკალაძე, მელქაძე
სათადარიგონი: მამალაძე, შაშიაშვილი, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: სალუქვაძე (49), რაზმაძე (60), გოჩაშვილი (70)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ლ. სილაგავა (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

# რა სჭირს დინამოს?
## ჩემპიონმა საჩემპიონოს მოუგო

**ლუკა თალაკვაძე** მცხეთიდან

**რა სჭირს** „დინამოს“? ვფიქრობთ, ანგარიშის გაგებისთანავე ბევრი თქვენგანი იკითხავს ამას, თუმც პასუხის მოძებნა ჯერჯერობით არ ხერხდება. ერთი კი ფაქტია — „დინამომ“ ძალიან მძიმედ დაიწყო ეს წელი...

წლეულს ჩატარებული სამი მატჩიდან (ერთი თასზე, ორი ჩემპიონატში) დინამოელებმა ორი წააგეს — „ზესტაფონთან“ და გუშინ „ვიტ ჯორჯიასთან“, ამათ შორის კი ბოლნისის „სიონთან“ მოსაგებად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. მოკლედ, კვიპროსულ და ესპანურ შეკრებამოვლილი თბილისელები სასურველი ფორმისგან შორს არიან და საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება ასე...

რომ ვთქვათ, „ვიტ ჯორჯიამ“ „დინამოს“ ერთი თავით აჯობა და უეჭველად მოსაგები მოიგოო, მოგატყუებთ. ყველაფერი ერთმა შეცდომამ, უფრო ზუსტად, ოთარ მარცვალაძის ერთმა გასროლამ გადაწყვიტა — ვიტელთა სწრაფი თავდამსხმელი იოლად გასცდა მცველს და დაბალი დარტყმით შორეულ კუთხეში ჩასვა ბურთი — 1:0. ეს ამბავი ტაიმის ბოლოს, 45-ე წუთზე მოხდა.

პირველ ნახევარში სხვა საინტერესო ბევრი არაფერი გვინახავს, თუმც სახიფათო მომენტებს თუ დავთვლით, უპირატესობა სტუმრებისა იყო — დინამოელთა ახალ კაპიტან გოჩა ჯამარაულს (ორჯერ) და ლევან მელქაძეს მცირედი დააკლდათ გოლის გასატანად, მანამდე კი ვეტერინარ ოლეგ გველესიანსაც ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი.

რითიც დავიწყეთ, იმითვე გავაგრძელებთ — გაშვებული გოლი „დინამოს“ აიძულებდა, ტემპი გაეზარდა, მაგრამ მიზეზთა გამო ასე არ მოხდა. ვიტელებმა საკუთარი საჯარიმო ისე გაამაგრეს, რომ შიგ ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა.

ისე, „ვიტ ჯორჯიას“ წისქვილს უვარგისმა მინდორმაც დაასხა წყალი — „დინამოს“ კომბინაციური თამაში არ აეწყო, რამაც, ბუნებრივია, შეტევებს სიმძაფრე მოაკლო.

ვინ ვინ და, ჯანი კარნევალიმ კი იცის, როგორ მოუგოს „დინამოს“. ვეტერინართა იტალიელმა თავკაცმა სამივე ცვლილება დროულად გამოიყენა და ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტიც უქულოდ გამოისტუმრა მცხეთიდან.

„ვიტ ჯორჯიამ“ საწყის ორ ტურში უკვე ოთხი ქულა აიღო და მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა, „დინამოს“ კი კონკურენტ „ტორპედოს“ მარცხი თუ გამოუკეთებს გუნებას...

*ჯანი კარნევალი:* „ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო თამაში. „დინამო“ კარგი გუნდია, მაგრამ დღეს მოგების შანსი არ მიგვიცია. ჩვენ ჩვენი მომენტი გამოვიყენეთ და მიხარია, რომ გავიმარჯვეთ. ბოლოსკენ დაღლა კი დაგვეტყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა“.

*გია გეგუჩაძე:* „დაძაბული თამაში იყო. ვერ ვიტყვი, რომ წაგებას ვიმსახურებდით. მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯია“ დაცვაში ჩაჯდა და ამან საქმე გაგვირთულა. თამაშის გადარჩენას კი ვეცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა. იმედი მაქვს, მალე ძველებურად ავთამაშდებით. ბიჭებსაც ვერ ვუსაყვედურებ — მოინდომეს, მაგრამ...“



„ვიტ ჯორჯიაში“ მიბრუნებულმა ჯანი კარნევალიმ პირველი მოგება „დინამოსთან“ დააგემოვნა

# ნერვები და გოლები

**დავით თავართქილაძე**

თბილისი. 25 თებერვალი. 14 საათი. ოლიმპი. 500 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 3:2 კოლხეთი

1:0 იაშვილი (18), 1:1 თოდუა (53), ბარაბაძე (76), იაშვილი (86), ლებანიძე (87)

თბილისი: გრიშიკაშვილი, აფციაური (დევდარიანი 85), გ. ფოფხაძე, ლოლაძე, ქემოკლიძე, ფიფია, მინ ჩოი (ბოჭორიძე 89), ჯიქია (ბარაბაძე 70), მესხი, მიქიაშვილი, იაშვილი
სათადარიგონი: ჯინჭარაძე, ფირანიშვილი, გ. მიქელაძე, ბ. ფლენტი
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

კოლხეთი: ბათიაშვილი, ჭითანავა, გოროზია, შალამბერიძე, ცქიტიშვილი, ცქიფურიშვილი, მინდაძე, აკობია (ლებანიძე 46), გ. თოდუა, ქუტაძე, ლ. მელიქია (ვართაგავა 46; კუნჭულია 63), მიკუჩაძე
სათადარიგონი: გიზო შენგელია; ქუთათელაძე, თაყაძე, მარგალიტაძე
მწვრთნელი: სერგო გაბელია

გაფრთხილება: მელიქია (14), გოროზია (41), იაშვილი (45), კუნჭულია (69)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ნ. რუსიშვილი; მ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

**ნერვული** მატჩი გამოდგა, ბევრი იყო კინკლაობა და გაქაჩვები, არბიტრ გიორგი ვადაჭკორიას კი ალბათ გასახდელში დარჩა წითელი ბარათი — მას თამაში ხელიდან გაექცა, თუმცა ისე არ ყოფილა, მსაჯის გადაწყვეტილებებს შეხვედრის შედეგზე ემოქმედა — ვადაჭკორიამ თამაშს ნევრასტენიული ფონი გაუმძაფრა.

პირველი საგოლე შანსი სანდრო იაშვილს ჰქონდა — მეურვე ზაზა ცქიფურიშვილსაც დაასწრო და კარიდან გამოსულ ზურაბ ბათიაშვილსაც, მაგრამ თავურით ოდნავ ააცილა მიზანს.

ფოთელთაგან პირველ ტაიმში „თბილისიდან“ გადასული კოკა მიკუჩაძე გამოირჩეოდა, ვინც ორჯერ დაემუქრა ყოფილ გუნდს, თუმც ხეირი ვერ ნახა, რისი მიზეზი სოსო გრიშიკაშვილის კარგი მეკარეობაც გახლდათ.

„თბილისის“ საგოლე შეტევა კი თორნიკე აფციაურმა წამოიწყო, მინ ჩომ გააგრძელა, ხოლო საგოლე ფლანგური ჩაწოდება გიორგი ლოლაძისა იყო — ბათიაშვილის კარის შორეულ ძელთან ჩასაფრებული იაშვილის თავური უნაკლო გამოდგა.

„კოლხეთს“ მალევე მართებდა გათანაბრება — გია თოდუამ ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა ბურთს ფეხი, ხოლო ტაიმის მიწურულს „თბილისს“ შეეძლო უპირატესობის გაზრდა — გოგი ფიფიამ მცველთან ბრძოლაში 11-12 მეტრიდან ხარიხას გადაავლო ბურთი.

პირველ ტაიმში ისეთი თამაში იყო, შინაარსიანი არ ეთქმოდა, ორივე გუნდი ხრახნმოშვებულ მექანიზმს წააგავდა და მათგან არც მეორე ტაიმში იყო მოსალოდნელი ტრიუკები, თუმც ოთხი გოლი კი ვიხილეთ.

სანამ ზღვისპირელები ანგარიშს გაათანაბრებდნენ, შოთა ჯიქიას ორი ხელსაყრელი მომენტი გაუცუდდა. გია თოდუა კი მეტოქის საჯარიმოში შლეგად შეიჭრა, ერთი მცველი გააცურა და გრიშიკაშვილს დაბალი ბურთი მოუსხიპა შორეულ კუთხეში — 1:1.

გატანილ გოლს მყისიერი რეაქცია არ მოჰყოლია — არც „კოლხეთს“ უცდია დაწინაურება და არც „თბილისს“ გამოსდიოდა შეტევაში ღირებული რამ. მასპინძლებს მოედნის ცენტრის ალება, ბურთის გაგორება უჭირდათ, ჰოდა, ლუის ცაკარიასმაც უკიდურეს ზომას მიმართა — იაშვილსა და ფიფიას მესამე ფორვარდი, ტანმაღალი რევაზ ბარაბაძე შეაშველა.

ტაიმის შუაწელიდან მართლაც გამოცოცხლდა თამაში, ფეხბურთელებს აგრესია შეემატათ და კიდევ უფრო შმაგი ორთაბრძოლები გაჩაღდა. ჩინებულად გაისარჯა „თბილისის“ მარცხენაფლანგელი გიორგი ფოფხაძე — მან ორი ფოთელი ჩამოიცილა, კარის გასწვრივ ჩააწოდა და ბარაბაძემაც თავურით დაამწუხრა „კოლხეთი“ — 2:1.

შეხვედრა ცენტრიდან რამდენიმე წამის განახლებული იყო, როცა ვადაჭკორიას ლამის მთელი „კოლხეთი“ გამოუდგა — მსაჯისთვის არ დაურტყამთ, თორემ ხელის თუ მხრის კვრა არ მოჰკლებია. რა იყო ფოთელთა ასეთი გახელების მიზეზი, ძნელი სათქმელია — ბარაბაძის გოლში ვადაჭკორიას მართლაც არანაირი „წვლილი“ არ მიუძღოდა.

იერიშმიტანილ მსაჯს „თბილისის“ ფეხბურთელები გამოექომაგნენ და შეხვედრა 2-3 წუთში განახლდა. თუმც მოედანზე სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, ვნებიანი ბურთაობა გაჩაღდა, მატჩის გარდამტეხი მომენტი დადგა და ასეთ დროს ისევ „თბილისმა“ იმარჯვა — მინ ჩოს პასით იაშვილი ბათიაშვილთან პირისპირ გავიდა და მინდორზე გაწვართულ მეკარეს ოსტატურად გადაავლო ბურთი — 3:1.

მაგრამ ფოთელთა ემოცია ამანაც ვერ ჩააცხრო. ცენტრიდან განაახლეს თუ არა თამაში, მიკუჩაძემ ჯარიმა მოინადირა. თბილისელებს ცოცხალი კედელი უნდა აღემართათ, მაგრამ „კოლხეთმა“ ჯიქურ გაათამაშა ჯარიმა, პეტრე ლებანიძე გრიშიკაშვილთან მარტო აღმოჩნდა და 3:2.

სტუმრებმა ერთხელაც გაიბრძოლეს, არწაგებისთვის თავი არ დაზოგეს და ვასილ კუნჭულიას რომ არ აჭროდა ცაციდან ბურთი, იქნებ ქულაც წაეღოთ შინ.

*სერგო გაბელაია:* „პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი შანსი ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ. მეორე ტაიმში კარგად ავთამაშდით, მაგრამ შეთამაშება გვაკლია, სეზონის განახლების წინ მიზეზთა გამო სათანადო რაოდენობის საკონტროლო მატჩები ვერ ვითამაშეთ და ამან თავი იჩინა. ერთიორი თამაში კიდევ გვჭირდება გუნდის დასახვეწად. მსაჯობაზე ლაპარაკი არ მჩვევია, მსაჯთან და ფეხბურთელებს შორის შელაპარაკება კი არ უნდა ხდებოდეს.“

*ლუის ცაკარიასი:* „მეორე ეტაპის წინ გუნდიდან 12 ფეხბურთელი წავიდა და მოკლე დროში ძალიან ძნელია გუნდის ჩამოყალიბება. დღეს რისკზე წავედი, მესამე ფორვარდი შევუშვი და ამან გაამართლა. რაც შეეხება შელაპარაკებებს, ამაზე აუცილებლად მივიღებთ მკაცრ ზომებს. იაშვილის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ მისი ქცევით არა. მისგან უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელებმა უნდა ისწავლონ, ის კი მოედანზე სათანადოდ არ იქცევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 13 | 3 | 4 | 41:20 | 42 |
| ტორპედო | 20 | 11 | 7 | 2 | 32:12 | 40 |
| თბილისი | 20 | 11 | 4 | 5 | 41:25 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 9 | 5 | 6 | 31:25 | 32 |
| ლოკომოტივი | 20 | 7 | 9 | 4 | 26:17 | 30 |
| ზესტაფონი | 20 | 8 | 1 | 11 | 18:36 | 25 |
| ბათუმი | 20 | 6 | 7 | 7 | 23:17 | 25 |
| კოლხეთი | 20 | 5 | 5 | 10 | 19:26 | 20 |
| სიონი | 20 | 5 | 2 | 13 | 18:43 | 17 |
| დილა | 20 | 2 | 3 | 15 | 13:41 | 9 |

თბილისი 25 თებერვალი 15 საათი. ლოკომოტივი 200 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:1 ბათუმი

0:1 ლლონტი (45), 1:1 ქებაძე (55)

ლოკომოტივი: გვარამაძე, მანჩხავა, მახვილაძე, გ. ონიანი, გიგაური, ექონია, სიჭინავა, ლ. ქებაძე, კახელიშვილი (სეთურიძე 46), სირბილაძე, ბობოხიძე
სათადარიგონი: სტურუა; ფოფხაძე, ეჯანი, რამონი, კირვალიძე, ალავერდაშვილი
მწვრთნელი: ნოდარ აკობია

ბათუმი: სოლოლაშვილი, შ. ხუჯაძე, გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, ლლონტი, მანწკავა, ი. მახარაძე, ცანავა (ბესო თედორაძე 63; ფირცხალაიშვილი 80), დარჩიძე, გონჩაროვი (ხომერიკი 61)
სათადარიგონი: ი. ბალაძე; გოგიშვილი, პ. ჩოხელი, ლ. ხმალაძე
მწვრთნელი: ნუკრი გოგიტიძე

გაფრთხილება: გალოგრე (23), ბესო თედორაძე (79), გ. ონიანი (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ელისაბედაშვილი (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

# თითო-თითო
## ჯერ ბოლოში, მერე თავში

**სოსო კოტორეიშვილი**

პირველ ტაიმში ერთხელაც არ დაურტყამთ ბათუმელებს მასპინძელთა კარში, თუმცა ტაიმის მიწურულს ისეთი კომბინაცია გაჩარხეს, ავთო ლლონტის მართლაც კარგი გოლით შესვენებაზე 1:0-ით წავიდნენ.

მთელი პირველი ნახევრის მანძილზე კი ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას „ლოკომოტივი" ფლობდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნუკრი მანჩხავა, რომელიც, გარდა იმისა, რომ საიმედოდ ჩაერაზა საკუთარი საჯარიმოს მისადგომები, მარცხნიდან შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა. სწორედ მისი ფლანგური ჩაწოდებების შემდეგ შეიქმნა რამაზ სოლოლაშვილის კართან სახიფათო მომენტები. ჯერ იყო და, მანჩხავას პასს მიხეილ ბობოხიძე შეეგება, მცველთან ჭიდილში ბურთიც მოიგდო, მაგრამ ფანიაშვილმა რკინიგზელი ფორვარდი დააჯარიმა. მერე კი ირაკლი სირბილაძე შეეგება თავით მანჩხავას ჩაკიდებულს, თუმცა მისმა ნათავურალმა ძელს ჩაუზუზუნა.

ბათუმელები კი ცდილობდნენ, მოედნის ცენტრში ბურთი დაეჭირათ — საამსაქმოდ ნუკრი გოგიტიძეს მანწკავა-მახარაძე-დარჩიძის სამეული გაემწესებინა — მაგრამ გამოცდილი თენგიზ სიჭინავა და „ლოკომოტივში" საყრდენად მოთამაშე დავით გიგაური არაფერს თმობდნენ და ამიტომაც იყო, ბურთს უმეტესად მასპინძლები რომ აკონტროლებდნენ. ბურთის ფლობა ბარემ სასარგებლო რამაა, მაგრამ რკინიგზელებს ვერაფერში არგო. ზემოთაც ვთქვით, პირველი ტაიმის დასრულებას წამებიღა აკლდა, ბათუმელები რომ დაწინაურდნენ — მოედნის შუაში ირაკლი ცანავა ორ მცველს გასცდა, მასპინძელთა საჯარიმოსკენ დაიძრა და ბურთი იქვე მომლოდინე ვიტალი დარჩიძეს ჩააბარა, დარჩიძემაც კარისკენ გაიწია, თუმცა დარტყმის ნაცვლად მარცხნიდან საჯარიმოში შევარდნილი ავთო ლლონტი დალანდა და პასიც არ დაუგვიანა, ლლონტის მახვილი კუთხიდან დარტყმულს კი დავით გვარამაძემ ვერაფერი მოუხერხა.

ნოდარ აკობიამ მეორე ტაიმში კახელაშვილის ნაცვლად გიორგი სეთურიძის უხმო, რომელმაც შეტევის მარჯვენა ფლანგზე დაიჭირა ადგილი. სამი თავდამსხმელით რკინიგზელებმა თამამად გაიწიეს სოლოლაშვილის კარისკენ და მალე გოლითაც დასაჩუქრდნენ — მცველთაგან უხეიროდ მოგერიებული ბურთი ლაშა ქებაძეს მიუვიდა და მანაც შეუჩერებლივ სტუმართა კარის ცხრიანში შეაბრუნა. ეს იყო და, „ლოკომოტივმა" მოსაგებად გაიწია, მომენტებიც მრავლად შექმნა, მაგრამ ზოგჯერ ფორვარდებმა ვერ ივარგეს, ზოგჯერაც მეკარემ იყოჩაღა.

# ბოლნისს დილა გაუთენდა
## დოლიძის ჰანგები და ნანატრი სამქულიანი

**ილია ნანობაშვილი** ბოლნისიდან

ბოლნისი 25 თებერვალი 14 საათი. თამაზ სტეფანია 1 000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 3:0 დილა

1:0 ჩაჩუა (57), 2:0 გ. შენგელია (74), 3:0 დოლიძე (88)

სიონი: ბობღიაშვილი, თ. უგრეხელიძე, სიდამონიძე, ბ. შელია, ბაჯელიძე, ჩაჩუა (ნ. ლაბაძე 77), ალავიძე, ი. ვაშაკიძე, გ. შენგელია (ჩაგელიშვილი 78), ლ. ჩხაიძე, გ. დოლიძე (მიქელაძე 89)
სათადარიგონი: ასლანაძე; ვ. უგრეხელიძე, ავალიანი
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

დილა: თ. ილურიძე, გ. ჩიტაია, დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, ჯ. ხანიშვილი, ლ. გოჩაშვილი, ხაჭაპურიძე, ოლგესაშვილი (ჯობაძე 67), ა. ლაბაძე (მასურაშვილი 71), სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია (თომაშვილი 80)
სათადარიგონი: კურტანიძე; შუბითიძე, ა. მაისურაძე, ტლაშაძე
მწვრთნელი: მერაბ ხუციშვილი

გაფრთხილება: ხაჭაპურიძე (41), ვაშაკიძე (54), გ. ჩიტაია (78), ალავიძე (84)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ხუციშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

„დილა" ხავსი ალმოჩნდა, წყალწაღებულები რომ ეკიდებიან. თუმცა გუშინდელ თამაშში „სიონს" წყალწაღებულისა არაფერი ეტყობოდა. გიგლა იმნაძის ბიჭებმა პირწმინდად დაჩაგრეს სტუმრები და დამამთავრებელ ფაზაში მეტი ფხა რომ გამოეჩინათ, ეგებ ორნიშნა ციფრითაც მოეგოთ. თუმც 3:0-იც საკმარისია, ახლა ქვემო ქართლელები სამი ქულითღა ჩამორჩებიან უახლოეს მდევარ „კოლხეთს". გორელებზე კი რა გითხრათ, მათ ამ სეზონში ზიდანიც ველარ უშველის და გუნდიც უკვე შეგუებულია გავარდნას.

„სიონმა" საამმატჩოდ ირაკლი ვაშაკიძის განაცხადში შეყვანა ძლივს მოასწრო და გამოცდილმა მცველმაც ბოლნისური დებიუტი მოიწყო, თუმც მთლად კედელივით ვერ იდგა — უთამაშებლობა აშკარად ეტყობოდა. მატჩის დაწყება და მასპინძელთა გრიგალისებური შეტევები ერთი იყო: პირველივე წუთზე გრიგოლ დოლიძემ მარჯვენაფლანგური კროსის შემდეგ არჩილ ალავიძეს ეფექტურად უპასა, თუმც მან 7-8 მეტრიდან ააცილა. ორ წუთში იმავე დოლიძის შორიდან დაქუხებული კარის „ჯვარედინმა" აისხლიტა, ისევ დოლიძემ მიფანტ-მოფანტა „დილას" მცველები და გიორგი შენგელია სტუმართა მეკარეს შეატოვა, მაგრამ თამაზ ილურიძემ იმარჯვა. მოკლედ, დებიუტი დოლიძისა იყო — არ გადავაჭარბებთ, მთელი 90 წუთის განმავლობაში ფანტასტიკურად ითამაშა და აკი მატჩის მიწურულს თავისი წილი გოლი შეაგდო კიდეც. საცოდაობა იყო, იგი გუშინ უგოლოდ გასულიყო მინდვრიდან. არადა, გრიგოლი ამპლუით ნახევარმცველია, გუშინ კი ფორვარდად ითამაშა — ნამატჩევსაც თქვა იმნაძემ, თავდამსხმელის პრობლემა გვაწუხებსო. დოლიძის გარდა, ბოლნისელთაგან განაპირა მცველები — უგრეხელიძე და შელიაც უნდა გამოვარჩიოთ.

ბოლნისელებმა მეორე შტურმიანი პერიოდი ტაიმის მიწურულს მოაწყვეს. ლაშა ჩხაიძე მეტოქის საჯარიმოში წააქციეს და მსაჯმა კვარაცხელიამაც პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი, მაგრამ აშკარად ინერტულმა შენგელიამ ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა — ილურიძემაც ლამაზი ნახტომი გაჭიმა. „დილას" გოლკიპერმა ორ წუთში უკვე დოლიძე გაამწარა, როდესაც პირისპირ შეყრილს ფეხიდან ააცალა ბურთი.

„ანტრაქტის" შემდეგაც ცალკარა გაგრძელდა და მომწიფებული კი არა, გადამპალი გოლიც გავიდა — დოლიძის ნაკუთხურალს ექსდილელმა საყრდენმა ნახევარმცველმა ლევან ჩაჩუამ ღონიერი თავური შეაგება. მერაბ ხუციშვილის გუნდს ეგებ ძალიან სურდა თამაშის შემობრუნება, მაგრამ საამისო არაქათი არ ჰქონდა, ისევ „სიონი" და დოლიძე დომინირებდნენ... მატჩის გმირმა ლამის 50-მეტრიანი დრიბლინგის შემდეგ კინაღამ გაიტანა, მაგრამ მცველი მაისურაძე ჩაუხტა ფეხებში. ცოტაც და „დილა" მეორედ იხსნა ძელმა — ამჯერად თენგიზ უგრეხელიძემ ვერ მოზომა მილიმეტრებში.

ქვემოქართლელთა მეორე გოლი კი ბაიერნულ კომბინაციას ჰგავდა. მეკარე ბობღიაშვილმა ოლივერ კანივით გრძელი გადაცემა ჩაუშვა მეტოქის ნახევარზეა. შენგელიამაც ბურთი მოიხელთა და 2:0. „სიონის" ზეობა კი ალავიძის გასწვრივი პასისა და დოლიძის ახლო მანძილიდან გატანილით დასრულდა. მოკლედ, ბოლნისელები სახიფათო ზონიდან ოდნავ დაიძრნენ და ლოჟაში მსხდომი კლუბის თავკაცობაც („მადნეულის" ხელმძღვანელები, რაიონის გამგებელი გიორგი არევაძე და პარლამენტარი დავით კირკიტაძე) გახარებული იყო...

და კიდევ, თამაზ სტეფანიაზე ყურმოკვრით ისიც შევიტყვეთ, „სიონში" ირაკლი ზოიძის მოსვლას ელიანო...



ბოლნისელი გრიგოლ დოლიძე საუკეთესო იყო

# მიმართვა
## მსაჯებს, ინსპექტორებს, კლუბების ხელმძღვანელებს, მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს

განახლდა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი და ჩვენი სურვილია, რომ გულშემატკივარმა, გუნდების ხელმძღვანელებმა და მოთამაშეებმა ეს მიმართვა გაითავისონ და არ ჩათვალონ უმნიშვნელო რამედ. მიმართვა კატეგორიულია ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან და სრულად შეესაბამება ფიფა-უეფას მოთხოვნებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი თქვენს ყურადღებას მიაპყრობს ზოგიერთ არასასურველ, ნეგატიურ ფაქტზე, რასაც ადგილი ჰქონდა საფეხბურთო მატჩებისას.

სამწუხაროდ იყო შემთხვევები, როცა მოთამაშეები ხმამაღლა, უხეში, უცენზურო სიტყვებით მიმართავდნენ მოწინააღმდეგეს ან თანაგუნდელს. განსაკუთრებით მკაცრად დაისჯებიან ისინი, რომლებიც უცენზურო სიტყვებით მიმართავენ მსაჯებს და ინსპექტორებს.

ბევრი მწვრთნელიც არ იცავს წესრიგს ტექნიკურ ზონაში, იქცევიან არაეთიკურად, უცენზურო სიტყვებით გამოთქვამენ უკმაყოფილებას, როგორც თავისი გუნდის მოთამაშის, ისე მსაჯთა ბრიგადის მიმართ. ყურადღება უნდა მიექცეს მაყურებელთა საქციელს ტრიბუნებზე და მის გარეთაც.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მკაცრად აფრთხილებს ყველა არბიტრს და ინსპექტორს — არ დატოვონ რეაგირების გარეშე არცერთი მსგავსი ფაქტი და ყველაზე მკაცრი ზომებით შეებრძოლონ დისციპლინის დამრღვევებს. გამოიყენონ ყველა ზომა, რაც გათვალისწინებულია სადისციპლინო კოდექსით და ჩემპიონატის ჩატარების რეგლამენტით.

კლუბების ხელმძღვანელებს ვთხოვთ, განიხილონ ეს მიმართვა და გააცნონ მწვრთნელ-ფეხბურთელებს, რათა აღმოფხვრილ იქნას მსგავსი შემთხვევები.

მსაჯები და ინსპექტორები, რომლებიც სათანადო დონეზე არ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მკაცრად დაისჯებიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოუწოდებს ყველა მსაჯს და ინსპექტორს, კლუბების ხელმძღვანელებს, მოთამაშეებს, გულშემატკივრებს, საფეხბურთო მატჩების ყველა მონაწილეს — მკაცრად დაიცვან წესრიგი სტადიონებზე, იყვნენ უფრო მომთხოვნი და გაითავისონ პასუხისმგებლობა, რათა გამოირიცხოს ის უარყოფითი მომენტები, ეროვნული ჩემპიონატის და თასის მატჩებს რომ შეურაცხყოფენ.

დარწმუნებულები ვართ, რომ ერთობლივი ძალებით შევძლებთ ქართული ფეხბურთის სათანადო დონეზე აყვანას.

**ა. მილჩენკო**
საქართველოს მსაჯთა
და ინსპექტორთა
ასოციაციის პრეზიდენტი

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს**
**ბატონ მერაბ ჟორდანიას**

**ეხება: ფიფას გოლის პროგრამა - გოლის მეორე პროექტი**

ბატონო პრეზიდენტო, ჩემო ძვირფასო მეგობარო მერაბ,

2005 წლის 17 თებერვლის შეხვედრაზე გოლის ბიურომ განიხილა ის ცხრა ქვეყანა, რომელიც სარგებელს მიიღებს გოლის მეორე პროექტიდან შემდეგ თვეში.

ფეხბურთისადმი ჩემი გრძელვადიანი ვალდებულებისა და მსოფლიო საფეხბურთო ოჯახისადმი აუცილებელი სოლიდარობის ფონზე, სიამოვნებით გაცნობებთ რომ თქვენი წევრი ასოციაცია გახლავთ ერთ-ერთი შერჩეული ქვეყნებიდან. ეს შესაძლებლობას მოგცემთ განახორციელოთ თქვენი ასოციაციის მეორე პრიორიტეტული პროექტი თქვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების სტრუქტურის ფარგლებში.

ყველა საჭირო ინფორმაცია გოლის პროექტის პროცედურის შემდგომ ეტაპებთან დაკავშირებით გამოგეგზავნებათ ახლო მომავალში.

დარწმუნებული ვარ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ განახორციელოთ ეს პროექტი და წინასწარ გიხდით მადლობას თქვენ მიერ გაწეული ძალისხმევისთვის.

პატივისცემით,

ჯ. ბლატერი

ასლები: უეფას;
ბ-ნ მოჰამედ ბინ ჰამამს, გოლის ბიუროს თავმჯდომარეს;
ბ-ნ მიშელ პლატინის, გოლის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეს;
ბ-ნ ეილერი ჩუხრის, მოსკოვში გოლის ბიუროს განვითარების ოფიცერი.

ლიგის თასი. ფინალი. კარდიფი. „მილენიუმი“. ხვალ. 18.00

# ლივერპული VS ჩელსი

# ორი პირინეელი უელსურ ბალახზე

**კვირას**, ნაშუადღევს, კარდიფის „მილენიუმზე“ ინგლისი ლიგის თასი გათამაშდება „ლივერპულსა“ და „ჩელსის“ შორის.

ლიგის თასი 45-ედ თამაშდება, თუმცა, კარგახანია არ ჰყოლია ასეთი ფინალისტები. ის უფრო ხშირად საშუალო გუნდების სანადირო ჯილდო იყო, რითაც უეფას თასის საგზურს მოიპოვებდნენ ხოლმე.

თავად კარდიფში თასი მეხუთედ თამაშდება და მეორე სეზონია, რაც „ქარლინგ ქაფი“ ჰქვია, ლუდისმსხმელი სპონსორის სახელის მიხედვით.

„ლივერპული“ ყველაზე წარმატებული გუნდია ამ თასზე და შეუძლია მერვედ მოიგოს იგი. საერთოდ კი, მერსისაიდელები ათჯერ ყოფილან ამ ფინალში.

„რაფა ბენიტესის გუნდი მეხუთე ადგილზეა პრემიერლიგაში და ტრავმების ეპიდემიის მიუხედავად ამ კვირაში კარგად გაისარჯა ჩემპიონთა ლიგაში. ბენიტესს სჯერა, რომ თასის ფინალშიც გააგრძელებს მოგების სერიას, რითაც თავის პირად კარიერაში მეოთხე, ინგლისში კი პირველ ჯილდოს მოიგებს. სამი ჰიპიას, იგორ ბისკანს და დიტმარ ჰამანს შეუძლიათ ლიგის თასის სამგზისი მფლობელები შეექნან და ამით ბრუს გრობელაარს წამოეწიონ.





რაფა ბენიტესი და ჟოზე მაურინიუ უელსში ინგლისური ჯილდოსთვის იბრძოლებენ

პრემიერლიგის ლიდერი „ჩელსი“ კი მძიმე კვირეულს ასრულებს კარდიფში: გასულ კვირას მაურინიოს გუნდმა ნიუკასლში წააგო ასოციაციის თასის თამაში, შემდეგ კი ბარსელონაში ჩემპიონთა ლიგისა. თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბოლო 16 თამაშიდან „ჩელსიმ“ 12 მოიგო, ჟოზე მაურინიო კი ძალიან ჩქარობს მისთვის პირველი ინგლისური ჯილდოს მოგებას.

„ჩელსი“ 4-ჯერ ყოფილა ლიგის თასის ფინალში და 2-ჯერ მოუგია იგი.

მსაჯად სიმკაცრითა და სოლიდურობით განთქმული სტივ ბენეტი იქნება.

გასულ კვირაში „ლივერპულის“ კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა თქვა, ჩვენ წლეულს ჩემპიონთა ლიგის მომგებები არა ვართო, რამაც რაფა ბენიტესს ათქმევინა, ამით სტივენ გუნდის საბრძოლო განწყობას დაბლა სწევსო. რაფამ თავისი ხელით დაამონტაჟა ვიდეო, რომელიც „ლივერპულის“ წლევანდელი თამაშების საუკეთესო მომენტებია აღბეჭდილი. იქაა ასევე თასებით ხელდამშვენებული გუნდების ფილმთა კადრები და ათასი აღმაფრთოვანებული რამ. ანუ, სარეკლამო ფილმი ფეხბურთში გამარჯვების სიტკბოებას ეხება. ამით ბიჭებს უფრო შევაგულიანებთო, ამბობს რაფა. მაურინიოს ვიდეოს სამონტაჟო დრო არ ჰქონდა, ეს კი არის, რომ ორი პირინეელი მწვრთნელის დუელი ინგლისური თასისთვის ბალახზე საინტერესო საცქერი იქნება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფეხბურთის მჭამელი

## რა საერთო აქვს ჩელსის და რეალის გასახდელებს?

*ზაირში დაბადებული „ჩელსის“ ნახევარმცველი, კლოდ მაკელელე, ბუნებით ტრიუმფატორია. ბურთის თამაში დღეს უკვე 31 წლის ფეხბურთელს საფრანგეთში, ასწავლეს, ხოლო 1994-95 წლების სეზონში „ნანტის“ შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. „ნანტის“ შემდეგ კი იყო „მარსელი“, „სელტა“ და მადრიდის „რეალი“, სადაც მან არც მეტი არც ნაკლები ჩემპიონთა თასი მოიგო. ეს მოხდა 2002 წელს თუმცა, როგორც თავად ამბობს, ძველი დიდება ახალი წარმატებების წყურვილს არ უკლავს. „ყოველ წელიწადს სხვა მიზანს ვუსახავ საკუთარ თავს. თანაც ისე, რომ მიზანი აუცილებლად წინაზე დიდი იყოს. ამგვარად, ვცდილობ თანდათან, სეზონ-სეზონ მეტ და მეტ წარმატებას მივაღწიო“ — ამბობს მაკლელე ჟურნალისტებითან საუბრისას*





იგი „ჩელსიში“ „რეალიდან“ ორი სეზონის წინ გადავიდა და, ბუნებრივია, მის მიზნებს ინგლისერი სახე მიეცა. წლეულს, მაგალითად მაკელელე ოთხი ტიტულის მოპოვებას გეგმავს. ესენი იყო, ინგლისის ჩემპიონობა, ჩემპიონთა ლიგა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი და ინგლისისავე ლიგის თასი. ბუნებრივია, მას მერე, რაც ასოციაციის თასიდან „ჩელსი“ „ნიუკასლმა“ გამოაგდო, გეგმები მართალია ცოტა შეიცვალა, მაგრამ მთავარი მიზნები ჯერ მაინც ხელუხლებელია. სხვათა შორის, ამ გეგმების ახდენისა თუ შეცვლის ამბავი ხვალაც გაირკვევა, ვინაიდან ხვალ კარდიფში ინგლისის ლიგის თასის ფინალია, ლონდონელები „ლივერპულს“ ხვდებიან.

„ფეხბურთი ჩემი ვნება, ჩემი საქმე და ცხოვრებაა — ამბობს საფრანგეთის ნაკრების წევრი — ჩემი არსებობა მთლიანად ამ თამაშს ეძლვნება. როდესაც მძინავს, ფეხბურთი მესიზმრება, როდესაც მეგობრების წრეში ვსადილობ, ფეხბურთს შევექცევი, როდესაც ცოლ-შვილთან ვარ, ისევ და ისევ ფეხბურთზე ვფიქრობ“.

ხოლო ეს სწორედ ის განწყობა და თავგანწირვაა, რომელიც კლოდ მაკელელეს თამაშზე აისახება. ის დაუღლელია, მოედნის ცენტრში მუხლჩაუხრელად ტრიალებს და „სტემფორდ ბრიჯზე“ იმ სიცარიელეს ავსებს, რომელიც „ჩელსიდან“ მარსელ დესაის წასვლის შემდეგ დარჩა მოედანზე.

მისთვის ძალიან მნიშვნელოვან შეჯიბრებად ბუნებრივია ჩემპიონთა ლიგა რჩება. ოთხშაბათს „კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ წინაალმდეგ იგი ერთ-ერთ ყველაზე თავდადებულ ლონდონელთა შორის იყო და ბუნებრივია, საპასუხო შეხვედრაშიც ასე იქნება.

„იყო პერიოდი, როდესაც ყოველ სეზონში ერთი და იგივე ოთხი თუ ხუთი გუნდი გადიოდა შეჯიბრების დამაგვირგვინებელ ეტაპზე, მაგრამ წლეულს სხვა მონაწილეებმაც გააძლიერეს შემადგენლობები“ — ამბობს მაკელელე, რომელსაც ზედმიწევნით ახსოვს ის დღე, როდესაც მოედანზე ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „რეალის“ შემადგენლობაში „ლევერკუზენთან“ სათამაშოდ გავიდა:

„როგორც კი მოედანზე ფეხი შევდგით მე და ზიზუმ ერთმანეთს შევხედეთ. იქვე თასი იყო. ჩვენ ერთმანეთს გადავულაპარაკეთ „შეხედე, ეს ჩვენთვის "გამოუტანიათ"". რაც ქედმაღლობა ნამდვილად არ იყო, ეს გახლდათ საკუთარი ძალების ურყევი რწმენა. ჩვენ ვხვდებოდით, რომ ისტორიას სხვა დასასრული ვერ ენებოდა. უბრალოდ ვერც კი წარმოგვედგინა, რომ ის თასი შეიძლებოდა „ლევერკუზენს“ აღემართა“.

მას მერე სამმა წელიწადმა ჩაიარა, კლოდ მაკელელე კი დღესაც მაშინდელის მსგავსს გრძნობს. იგი ამბობს, რომ ჟოზე მაურინიოსთან, „ჩელსის“ გასახდელში იგივე სულისკვეთება მაშინ მადრიდში რომ იყო.

„გუნდი ნამდვილად ერთსულოვანია. ყველა ეხმარება თავდამსხმელებს და ყველა ინაწილებს დაცვის ფუნქციას. ეს ფეხბურთის თამაშის სწორი ხერხია. საერთოდაც, „ჩელსის“ ხელმძღვანელობა ამბიციური ხალხია და ასევე კარი მოთამაშეებიც ვგრძნობ, რაიმეს მისაღწევად სწორედ შესაბამისი მომენტია. ჩვენს გუნდში ყველას სიამოვნებს თამაში“.

და რას ნიშნავს ეს, რამდენ და რომელ ჯილდოს მოიპოვებს „ჩელსი“ მიმდინარე სეზონში?

„მწამს, რომ ერთ ჯილდოს მაინც უეჭველად მოვიპოვებთ, თუმცა შეიძლება მეტიც შევძლოთ“ — პასუხობს მაკელელე.

**პაპუნა ძიძია**

# საბრალო მატყუარები

**„ბარსელონამ“** „საბრალო მატყუარები“ უწოდა „ჩელსის“ უფროსებს.

კატალონიელები ამბობენ, რომ „ჩელსიმ“ თავიდან ბოლომდე გამოიგონა ამბავი, თითქოს ჩემპიონთა ლიგის მატჩის შესვენებისას, „ბარსას“ მწვრთნელი ფრენკ რაიკარდი მსაჯ ანდრეს ფრისკის ოთახში შევიდა.

რაიკაარდის თანაშემწემ ფრენკ ტენ კატემ თქვა: „ეს საბრალო ტყულია, მაურინიომ ჯერ შემადგენლობა მოიტყუა, მერე ეს ამბავი“.

„ნოუ კამპის“ გვირაბში მომხდარი ჩხუბის შემდეგ „ჩელსიმ“ გამოაცხადა, რომ რაიკაარდმა ზეგავლენა იქონია ფრისკზე და მეორე ტაიმის დასაწყისში დიდიე დროგბა გააძევეს, „ჩელსიმ“ კი 1:2 წააგო. თამაშის წინ მაურინიომ თქვა, დემიენ დაფი დამტვრეულიაო და მერე სასტარტოში დააყენა. უეფას პრეს მდივანმა უილიამ გეილარდმა თქვა, რომ რაიკაარდი არ ყოფილა მსაჯის ოთახში, შესვენებისას რაიკაარდმა უბრალოდ მოუბოდიშა ფრისკს, „რომ თამაშამდე ჯეროვნად ვერ მიესალმა მოუცლელობის გამო.

გამხეცებულმა მაურინიომ უარი თქვა მატჩისშემდგომ ინტერვიუზე და ამისათვის დაჯარიმდება კიდეც. საერთოდ კი, უეფას მიაჩნია, რომ ფრისკმა საუცხოოდ იმსაჯა. „ჩელსი“ კი მაინც აპირებს საჩივრის შეტანას.

**ირაკლი გამყრელიძე**



ყბადაღებული მატჩი „კამპ ნოუზე“ ანდერს ფრისკმა იმსაჯა

# ინგლისი

*ირაკლი გამყრელიძე*

## ევროპაზე მონადირენი

**ამ კვირას** ლიგის თასია, მაგრამ პრემიერლიგის ტური თავისი ანგარიშით მიდის. ლიდერი „ჩელსი“ კარდიფშია, მის არყოფნაში კი მდევრები გამარჯვებას შეეცდებიან. შუა კვირაში „მილანთან“ დამარცხებული „მანჩესტერი“ „პორტსმუთისთვის“ 3 ქულის ართმევას შეეცდება და აუცილებლად ეყოლება საბოლოოდ მომჯობინებული რუდ ვან ნისტელროი. თუ „მანჩესტერი“ სამხრეთელებს დაამარცხებს, ზედიზედ მეექვსე მოგება ექნება.

ევროპაში „არსენალიც“ უხეიროდ გაისარჯა. ცხრილის ბოლოში მოქცეულ „საუთჰემპტონთან“ სტუმრობისას, მეთოფეებს არ ეყოლებათ დენის ბერხკამპი და ხოსე ანტონიო რეიესი, რომლებსაც ასოციაციამ 3-3 მატჩიანი დისკვალიფიკაციები გამოუწერეა ძველი დანაშაულისთვის.

მეოთხე ადგილზე მდგომი „ევერტონი“ მისთვის ძალიან მძიმე ადგილას მიემგზავრება. „ვილა პარკზე“ ლივერპულურ გუნდს 1987 წლის შემდეგ არ მოუგია. დევიდ მოესი მოედანზე ვერ გამოიყვანს ასევე დისკვალიფიცირებულებს, ჯეიმს ბოტისა და ტიმ კაჰილს, ჯეიმს მაკფადენი კი კარგახანია დამტვრეული ჰყავს.

„ნიუკასლი“ „ბოლტონს“ მასპინძლობს, ამ უკანასკნელს ზედიზედ შვიდი ტურია არ წაუგია და უეფას თასის საგზურზე ნადირობს. „ნიუკასლი“ სათასო თამაშებზე კი წამოიქაჩა, მაგრამ ნოემბრის შემდეგ ლიგაში მხოლოდ ორჯერ მოუგია. ახლო არიან ამავე საგზურზე სხვა მონადირენიც: „მიდლსბრო“ „ჩარლტონს“ მასპინძლობს, ეს წორედ ის გუნდებია, რომელთა შორისაც მოქცეულა მე-7 ადგილზე მყოფი „ბოლტონი“. „ჩარლტონს“ კევინ ლისბი აკლია, „ბორომ“ კი ერთადერთხელ მოიგო ახალი წლის დადგომის შემდეგ. ევროპულ საგზურს ეპოტინება „ტოტენჰემიც“, რომელსაც თავდასხმაში კვლავ მიდო-დეფოს წყვილი ეყოლება „ფულემის“ წინააღმდეგ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო სამი შეყრიდან „ფულემმა“ სამივე მოუგო „ტოტენჰემს“.



რუუდ ვან ნისტელროი პრემიერლიგას „პორტსმუთთან“ შეხვედრაში უბრუნდება

**XXVIII ტური**

**დღეს**

ასტონ ვილა : ევერტონი
ტოტენჰემი : ფულემი
კრ. პალასი : ბირმინგემი
მანჩესტერი : პორტსმუთი
საუთჰემპტონი : არსენალი

**ხვალ**

მიდლსბრო : ჩარლტონი
ნიუკასლი : ბოლტონი

**ზეგ**

ნორვიჩი : სიტი

**გადაიდო**

ჩელსი : ვესტ ბრომვიჩი
ლივერპული : ბლექბერნი

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 27 | 21 | 5 | 1 | 50:8 | 68 |
| მანჩესტერი | 27 | 17 | 8 | 2 | 45:16 | 59 |
| არსენალი | 27 | 17 | 6 | 4 | 63:31 | 57 |
| ევერტონი | 27 | 14 | 6 | 7 | 31:28 | 48 |
| ლივერპული | 27 | 13 | 4 | 10 | 41:29 | 43 |
| მიდლსბრო | 27 | 11 | 8 | 8 | 41:35 | 41 |
| ბოლტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 35:32 | 40 |
| ჩარლტონი | 26 | 11 | 5 | 10 | 30:36 | 38 |
| ტოტენჰემი | 26 | 10 | 6 | 10 | 33:30 | 36 |
| ასტონ ვილა | 27 | 9 | 8 | 10 | 31:34 | 35 |
| სიტი | 27 | 8 | 9 | 10 | 31:29 | 33 |
| ბირმინგემი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:33 | 32 |
| ნიუკასლი | 26 | 7 | 10 | 9 | 37:43 | 31 |
| პორტსმუთი | 27 | 8 | 6 | 13 | 30:40 | 30 |
| ფულემი | 26 | 8 | 5 | 13 | 33:44 | 29 |
| ბლექბერნი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:36 | 28 |
| კრ. პალასი | 27 | 5 | 7 | 15 | 30:45 | 22 |
| საუთჰემპტონი | 27 | 3 | 11 | 13 | 28:43 | 20 |
| ნორვიჩი | 27 | 3 | 11 | 13 | 26:52 | 20 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 2 | 12 | 13 | 23:49 | 18 |

# იტალია

*პაპუნა კედია*

## დერბი დელა მადონინა

**XXVI ტური**

**დღეს**

ბრეშა : სამპდორია
ფიორენტინა : უდინეზე

**ხვალ**

კალიარი : ატალანტა
რეჯინა : კიევო
ბოლონია : ლივორნო
ლეჩე : მესინა
ინტერი : მილანი
ლაციო : პარმა
პალერმო : რომა
იუვენტუსი : სიენა

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 25 | 16 | 6 | 3 | 43:16 | 54 |
| იუვენტუსი | 25 | 16 | 6 | 3 | 40:15 | 54 |
| ინტერი | 25 | 9 | 16 | 0 | 47:30 | 43 |
| უდინეზე | 25 | 12 | 5 | 8 | 34:24 | 41 |
| სამპდორია | 25 | 12 | 5 | 8 | 29:20 | 41 |
| პალერმო | 25 | 10 | 9 | 6 | 26:19 | 39 |
| რომა | 25 | 10 | 8 | 7 | 45:36 | 38 |
| კალიარი | 25 | 9 | 6 | 10 | 33:39 | 33 |
| ბოლონია | 25 | 8 | 8 | 9 | 26:25 | 32 |
| ლეჩე | 25 | 8 | 8 | 9 | 44:45 | 32 |
| რეჯინა | 25 | 8 | 8 | 9 | 26:29 | 32 |
| ლაციო | 25 | 8 | 6 | 11 | 32:36 | 30 |
| ლივორნო | 25 | 8 | 6 | 11 | 26:33 | 30 |
| მესინა | 25 | 7 | 8 | 10 | 29:39 | 29 |
| კიევო | 25 | 7 | 7 | 11 | 21:36 | 28 |
| ფიორენტინა | 25 | 6 | 8 | 11 | 23:32 | 26 |
| პარმა | 25 | 6 | 8 | 11 | 27:40 | 26 |
| სიენა | 25 | 4 | 13 | 8 | 24:35 | 25 |
| ბრეშა | 25 | 6 | 5 | 14 | 18:31 | 23 |
| ატალანტა | 25 | 3 | 8 | 14 | 19:32 | 17 |



ბოლო მადონინას მილანელი კრესპოს და ინტერელი კორდობას ამ ეპიზოდისა არ იყოს მოგებულ-წაგებული არ ჰყოლია

**გთხოვთ** გაგვიგოთ: წელიწადი ერთია და მილანური დერბი ორი, თუ თასზეც შეხვდებიან „მილანი“ და „ინტერი“ ოთხი, ხოლო თუ ჩემპიონთა თასზეც გადაეყრებიან ერთმანეთს, ექვსი.

დიახ, ბატონო, ეს დიდი მატჩია, დერბი მსოფლიო დერბებს შორის. რაღა იგი და რაღა ესპანური ელ კლასიკო, ანუ „რეალისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირება. რაღა იგი და რაღა „ბოკა“ — „რივერი“ არგენტინაში, მაგალითი და ეპითეტი მართლაც აურაცხელი შეიძლება მოვიტანოთ, მაგრამ წელიწადში ორჯერ, ოთხჯერ და მით უმეტეს ექვსჯერ ნამდვილად ვერ მოვყვებით მის ისტორიას, ნამდვილად ვერ მოვაწყობთ ფოიერვერკს გაზეთის ფურცლებზე და ნამდვილად ვერ მოვიქცევით ისე, თითქოს „დერბი დელა მადონინას“ შესახებ ათწლეულობით არაფერი გვეთქვას. ამიტომ, თქვენი ნებართვით, „ინტერ“—„მილანს“ განვიხილავთ, როგორც სერია A-ს 26-ე ტურის ცენტრალურ თამაშს, რომელიც კვირას, თბილისის დროით საღამოს თუ ღამის თორმეტის ნახევარზე „სან სიროზე“ გაიმართება.

ამ შეხვედრის პირობითი მასპინძელი (თუმცა, არც მთლად პირობითი, რადგან შეხვედრას უფრო მეტად „შავ-ლურჯი“ ქომაგები დაესწრებიან) „ინტერია“, ჯერაც დაუმარცხებელი გუნდი, რომელმაც მართალია უამრავი ფრე ითამაშა და „იუვესა“ და „მილანის“ წყვილს თერთმეტი ქულით ჩამორჩება, მაგრამ მაინც სკუდეტოს ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება და გამარჯვების შემთხვევაში ხსენებულ სხვაობას სამი ქულით შეამცირებს.

როგორ ფორმაშია „ინტერი“? შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ მან ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „პორტუსთან“ სტუმრად 1:1 ითამაშა. სამკვირიანი მკურნალობის შემდეგ მოედანს დაბრუნებული ადრიანო ჯერ არ არის საუკეთესო ფორმაში. მას 12 დეკემბრის შემდეგ გოლი არ გაუტანია. სამაგიეროდ, ჩინებულად გრძნობს თავს პორტუში გატანილი გოლის ავტორი ობაფემი მარტინსი, რომელიც, ალბათ, ყველაზე მეტ სირთულეებს შეუქმნის „მილანის“ დაცვას.

„მილანს“ კი ოთხშაბათს, მანჩესტერში 1:0 გამარჯვებამ ეჭვი არ არის საგანგებოდ შეასხა ფრთები. ეს შეხვედრა გარდა შედეგისა — მეოთხედფინალში გასვლასთან ფაქტია, „მილანი“ უფრო ახლოს არის, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედი“ — იმითაც იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რომ „შავ-წითლებმა“ ანდრეი შევჩენკოს გარეშე შეძლეს გამარჯვება, თან ძალიან ძლიერ მეტოქესთან. ასე რომ, თანაქალაქელებს ეჭვი არ არის გაცილებით რიხიანად დაუხვდებიან.

კახა კალაძეს ამ შეხვედრაში მონაწილეობა ვფიქრობთ, გარანტირებული აქვს. მიზეზი მისი კონკურენტის, ჯუზეპე პანკაროს დისკვალიფიკაციაა. ანუ იმის თქმა გვინდა, რომ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის, მარცხენა ფრთაზე არჩევანიც შეზღუდული აქვს (აბა, მალდინის ხომ არ დააბრუნებს?). თუმცა, ცხადია, პანკაროს თამაში რომც შეძლებოდა, შესაძლოა თერთმეტ კაცში მაინც საქართველოს ნაკრების კაპიტანი დაესახელებინა.

ერთი სიტყვით, შავ-წითელი ფორმა, სავარაუდოდ, იმავე ხალხს ეცმევა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ „ოლდ ტრეფორდზე“ ეცვა.

და, რას შვრება ამ დროს „იუვენტუსი“? იგი „დელ ალპიზე“ „სიენას“ მასპინძლობს. ჩემპიონთა ლიგაში „ბებერ ქალბატონსაც“ ჰქონდა ამ კვირაში თამაში — სამშაბათს მადრიდში, „რეალთან“ დიდი ომი გადახდა თავს. ასე რომ, დაღლილი წესითა და რიგით უნდა იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, ტურინელებმა ბოლო ტურებში რვაქულიანი უპირატესობა გაუშვეს ხელიდან, ასე რომ, საეჭვოა კიდევ ერთი დამარცხების ან თუნდაც ფრის უფლება მისცენ თავს.

„სიენას“ კი თავის მხრივ შვიდი თამაშია არ წაუგია. ამის მიზეზი ახალი მწვრთნელია, ჯიჯი დე კანიო, რომელმაც ზედიზედ ექვსი ფრის შემდეგ, ბოლო ტურში, „ფიორენტინასთან“ გაამარჯვებინა შეგირდებს.

ძალიან კარგ ფორმაშია მეკარე ალექს მანინგერი, ცნობილ თავდამსხმელს, ტორე ანდრე ფლოს კი ამ სეზონში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი.

# გერმანია

გიორგი კაკაბაძე



# ჰოიზერი შინ გაუშვეს

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| დორტმუნდი | : | მაინცი |
| ფრაიბურგი | : | ბაიერნი |
| ვერდერი | : | ბოხუმი |
| ჰანზა | : | გლადბახი |
| ლაუტერნი | : | ვოლფსბურგი |
| ჰერტა | : | ჰამბურგი |
| არმინია | : | ნიურნბერგი |
| **ხვალ** | | |
| ლევერკუზენი | : | შტუტგარტი |
| შალკე | : | ჰანოვერი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 22 | 13 | 5 | 4 | 44:23 | 44 |
| შალკე | 22 | 14 | 2 | 6 | 36:27 | 44 |
| ვერდერი | 22 | 12 | 4 | 6 | 49:26 | 40 |
| ლევერკუზენი | 22 | 11 | 5 | 6 | 41:29 | 38 |
| შტუტგარტი | 22 | 11 | 5 | 6 | 40:28 | 38 |
| ჰამბურგი | 22 | 12 | 1 | 9 | 39:32 | 37 |
| ჰერტა | 22 | 9 | 9 | 4 | 35:19 | 36 |
| ვოლფსბურგი | 22 | 11 | 0 | 11 | 39:35 | 33 |
| ჰანოვერი | 22 | 9 | 5 | 8 | 27:26 | 32 |
| ლაუტერნი | 22 | 9 | 4 | 9 | 31:31 | 31 |
| არმინია | 22 | 8 | 5 | 9 | 23:27 | 29 |
| დორტმუნდი | 22 | 7 | 7 | 8 | 24:30 | 28 |
| ნიურნბერგი | 22 | 6 | 6 | 10 | 37:40 | 24 |
| გლადბახი | 22 | 6 | 6 | 10 | 26:38 | 24 |
| მაინცი | 22 | 6 | 5 | 11 | 27:37 | 23 |
| ბოხუმი | 22 | 4 | 7 | 11 | 29:44 | 19 |
| ფრაიბურგი | 22 | 3 | 7 | 12 | 18:44 | 16 |
| ჰანზა | 22 | 2 | 7 | 13 | 18:47 | 13 |

**გერმანიაში** სადაც ბოლო საფეხბურთო ცნობა საპატიმროდან მექრთამე მსაჯის რობერტ ჰოიზერის თავდებით განთავისუფლებაა, ამ უქმეებზე 23-ე ტური გაიმართება. მიუნხენის „ბაიერნის" „არსენალთან" გამარჯვებას თუ არ ჩავთვლით, გერმანულმა კლუბებმა ევროტურნირებზე სრული ფიასკო განიცადეს და მშობლიური პრესისგან კრიტიკის ქარცეცხლიც დაიმსახურეს. განაწყენებულია გულშემატკივარიც, რომლის გულის მოგებასაც გალანძღული გრანდები ბუნდესლიგაში წარმატებული თამაშით შეეცდებიან.

ტურის ცენტრალური მატჩი ხვალ ლევერკუზენში გაიმართება, სადაც „ბაიერი" მატიას ზამერის „შტუტგარტს" მასპინძლობენ. ორივე გუნდს 38 ქულა აქვს და გამარჯვება ესაჭიროება. ისინი ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩნენ, ხოლო მესამე ადგილოსან „ვერდერთან" 2 ქულა აშორებთ.

„ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით და დასანანია, რომ უეფას თასს გამოვეთიშეთ. ახლა მთელი ყურადღება ბუნდესლიგისკენ გვაქვს მიმართული. მთავარია, საკუთარი ძალები ისევ ვირწმუნოთ. ამისთვის საუკეთესო საშუალება „ლევერკუზენთან" მოგება იქნება" — თქვა მატიას ზამერმა.

მასპინძლებს მუხლის ტრავმის გამო ბრაზილიელი როკე ჟუნიორი დააკლდებათ. ბოლო გუნდის კაპიტანი იენს ნოვოტნი, როგორც მოგეხსენებათ, სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. „შტუდგარტი" კი „ბაიარენას" ორი მცველის, ბორის ჟივკოვიჩისა და მეტიუ დელპიერის გარეშე ეწვია.

ბრემენის „ვერდერი" თავის მხრივ შეეცდება, მდევართა ურთიერთშეხვედრით ისარგებლოს და ერთ-ერთი აუტსაიდერის, „ბოხუმის" დასამარცხებლად ყველაფერს გაიღებს. აღსანიშნავია, რომ გერმანიის მოქმედი ჩემპიონის კაპიტანი ფრანკ ბაუმანი ბუნდესლიგაში მე-200 მატჩს გამართავს.

| 10107 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10108 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2.35 | 2.0 | 4.2 | 1.08 | 1.5 | 1.35 |
| 10109 | შალკე-ჰანოვერი | 1.7 | 2.3 | 5.8 | 1.0 | 1.31 | 1.64 |
| 10157 | ბრეშა-სამპდორია | 3.15 | 1.9 | 3.3 | 1.18 | 1.61 | 1.2 |
| 10158 | ფიორენტინა-უდინეზე | 3.15 | 1.9 | 3.3 | 1.18 | 1.61 | 1.2 |
| 10159 | იუვენტუსი-სიენა | 1.35 | 3.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.09 |
| 10161 | ლაციო-პარმა | 2.4 | 2.0 | 4.3 | 1.09 | 1.54 | 1.36 |
| 10162 | ლეჩე-მესინა | 2.1 | 2.0 | 5.0 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10163 | პალერმო-რომა | 2.75 | 1.9 | 3.7 | 1.12 | 1.57 | 1.25 |
| 10164 | რეჯინა-კიევო | 2.1 | 2.0 | 5.0 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10165 | ბოლონია-ლივორნო | 2.15 | 1.9 | 6.2 | 1.0 | 1.59 | 1.45 |
| 10166 | კალიარი-ატალანტა | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |
| 10167 | ინტერი-მილანი | 3.2 | 1.9 | 3.3 | 1.19 | 1.62 | 1.2 |
| 10200 | ატლეტიკო-სოსიედადი | 2.1 | 2.0 | 4.6 | 1.02 | 1.44 | 1.39 |
| 10201 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1.9 | 2.2 | 5.0 | 1.01 | 1.37 | 1.52 |
| 10202 | დეპორტივო-რეალი | 3.3 | 2.0 | 2.7 | 1.24 | 1.48 | 1.14 |
| 10203 | მალიორკა-ლევანტე | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10204 | ნუმანსია-ბარსელონა | 6.0 | 2.5 | 1.7 | 1.76 | 1.32 | 1.01 |
| 10206 | ოსასუნა-მალაგა | 2.2 | 2.0 | 4.5 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10207 | სევილია-რასინგი | 1.7 | 2.3 | 5.5 | 1.0 | 1.29 | 1.62 |
| 10209 | ვალენსია-ბეტისი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10210 | სარაგოსა-ვილიარეალი | 2.7 | 2.0 | 3.3 | 1.14 | 1.48 | 1.24 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | საუთჰემპტონი-არსენალი | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.1 |
| 11003 | ტოტენჰემი-ფულემი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11004 | ასტონ ვილა-ევერტონი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11005 | კრ. პალასი-ბირმინგემი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11006 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.4 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11008 | ნიუკასლი-ბოლტონი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11009 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11010 | ნორვიჩი-სიტი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11100 | ვერდერი-ბოხუმი | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11102 | არმინია-ნიურნბერგი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11104 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 1.9 |
| 11105 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11106 | ჰერტა-ჰამბურგი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11107 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11108 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11109 | შალკე-ჰანოვერი | 1.9 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11157 | ბრეშა-სამპდორია | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11158 | ფიორენტინა-უდინეზე | 3.7 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11159 | იუვენტუსი-სიენა | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11161 | ლაციო-პარმა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11162 | ლეჩე-მესინა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11163 | პალერმო-რომა | 3.7 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11164 | რეჯინა-კიევო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11165 | ბოლონია-ლივორნო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11166 | კალიარი-ატალანტა | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11167 | ინტერი-მილანი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11200 | ატლეტიკო-სოსიედადი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11201 | ესპანიოლი-ალბასეტე | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11202 | დეპორტივო-რეალი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 11203 | მალიორკა-ლევანტე | 2.8 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11204 | ნუმანსია-ბარსელონა | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 1.9 |
| 11206 | ოსასუნა-მალაგა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11207 | სევილია-რასინგი | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11209 | ვალენსია-ბეტისი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11210 | სარაგოსა-ვილიარეალი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | საუთჰემპტონი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 13003 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 13004 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13005 | კრისტალ პალასი-ბირმინგემი | 1.7 | 1.9 |
| 13006 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 2.0 | 1.6 |
| 13008 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13010 | ნორვიჩი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13100 | ვერდერი-ბოხუმი | 1.7 | 1.9 |
| 13102 | არმინია-ნიურნბერგი | 1.6 | 2.0 |
| 13103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.7 | 1.9 |
| 13104 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 1.6 | 2.0 |
| 13105 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1.5 | 2.2 |
| 13106 | ჰერტა-ჰამბურგი | 1.5 | 2.2 |
| 13107 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.5 | 2.2 |
| 13108 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.5 | 2.2 |
| 13109 | შალკე-ჰანოვერი | 1.7 | 1.9 |
| 13157 | ბრეშა-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13158 | ფიორენტინა-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 13159 | იუვენტუსი-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 13161 | ლაციო-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13162 | ლეჩე-მესინა | 1.6 | 2.0 |
| 13163 | პალერმო-რომა | 1.7 | 1.9 |
| 13164 | რეჯინა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13165 | ბოლონია-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13166 | კალიარი-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13167 | ინტერი-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13200 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 13201 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13202 | დეპორტივო-რეალი | 1.6 | 2.0 |
| 13203 | მალიორკა-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 13204 | ნუმანსია-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13206 | ოსასუნა-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13207 | სევილია-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 13209 | ვალენსია-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13210 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | საუთჰემპტონი-არსენალი | 2.5 | 1.3 |
| 14003 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.65 | 2.3 |
| 14004 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.8 | 2.0 |
| 14005 | კრისტალ პალასი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 14006 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1:07 | 2.9 |
| 14008 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.7 | 2.2 |
| 14009 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.7 | 2.2 |
| 14010 | ნორვიჩი-სიტი | 1.9 | 1.9 |
| 14100 | ვერდერი-ბოხუმი | 1.2 | 2.6 |
| 14102 | არმინია-ნიურნბერგი | 1.75 | 2.1 |
| 14103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.3 | 2.5 |
| 14104 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 2.5 | 1.3 |
| 14105 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 14106 | ჰერტა-ჰამბურგი | 1.75 | 2.1 |
| 14107 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.7 | 2.2 |
| 14108 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.7 | 2.2 |
| 14109 | შალკე-ჰანოვერი | 1.3 | 2.5 |
| 14157 | ბრეშა-სამპდორია | 1.9 | 1.9 |
| 14158 | ფიორენტინა-უდინეზე | 1.9 | 1.9 |
| 14159 | იუვენტუსი-სიენა | 1.05 | 2.9 |
| 14161 | ლაციო-პარმა | 1.7 | 2.2 |
| 14162 | ლეჩე-მესინა | 1.7 | 2.2 |
| 14163 | პალერმო-რომა | 1.9 | 1.9 |
| 14164 | რეჯინა-კიევო | 1.65 | 2.3 |
| 14165 | ბოლონია-ლივორნო | 1.65 | 2.3 |
| 14166 | კალიარი-ატალანტა | 1.3 | 2.5 |
| 14167 | ინტერი-მილანი | 1.9 | 1.9 |
| 14200 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1.45 | 2.4 |
| 14201 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1.3 | 2.5 |
| 14202 | დეპორტივო-რეალი | 2.0 | 1.8 |
| 14203 | მალიორკა-ლევანტე | 1.7 | 2.2 |
| 14204 | ნუმანსია-ბარსელონა | 2.5 | 1.3 |
| 14206 | ოსასუნა-მალაგა | 1.7 | 2.2 |
| 14207 | სევილია-რასინგი | 1.3 | 2.5 |
| 14209 | ვალენსია-ბეტისი | 1.7 | 2.2 |
| 14210 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | საუთჰემპტონი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | ტოტენჰემი-ფულემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ასტონ ვილა-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | კრ. პალასი-ბირმინგემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | ნიუკასლი-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | ნორვიჩი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15100 | ვერდერი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15102 | არმინია-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | დორტმუნდი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15104 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15105 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15106 | ჰერტა-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15107 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15108 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15109 | შალკე-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15157 | ბრეშა-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15158 | ფიორენტინა-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15159 | იუვენტუსი-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15161 | აციო-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15162 | ლეჩე-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15163 | პალერმო-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15164 | რეჯინა-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15165 | ბოლონია-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15166 | კალიარი-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15167 | ინტერი-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15200 | ატლეტიკო-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15201 | ესპანიოლი-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15202 | დეპორტივო-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15203 | მალიორკა-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15204 | ნუმანსია-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15206 | ოსასუნა-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 | სევილია-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15209 | ვალენსია-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15210 | სარაგოსა-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | საუთჰემპტონი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 12003 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 12004 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 12005 | კრისტალ პალასი-ბირმინგემი | 1.7 | 1.9 |
| 12006 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 2.0 | 1.6 |
| 12008 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12010 | ნორვიჩი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12100 | ვერდერი-ბოხუმი | 2.1 | 1.6 |
| 12102 | არმინია-ნიურნბერგი | 1.9 | 1.7 |
| 12103 | დორტმუნდი-მაინცი | 2.0 | 1.6 |
| 12104 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 2.0 | 1.6 |
| 12105 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1.9 | 1.7 |
| 12106 | ჰერტა-ჰამბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12107 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12108 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2.2 | 1.55 |
| 12109 | შალკე-ჰანოვერი | 2.0 | 1.6 |
| 12157 | ბრეშა-სამპდორია | 1.6 | 2.0 |
| 12158 | ფიორენტინა-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 12159 | იუვენტუსი-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 12161 | ლაციო-პარმა | 1.9 | 1.7 |
| 12162 | ლეჩე-მესინა | 2.1 | 1.6 |
| 12163 | პალერმო-რომა | 1.7 | 1.9 |
| 12164 | რეჯინა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12165 | ბოლონია-ლივორნო | 1.6 | 2.0 |
| 12166 | კალიარი-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 12167 | ინტერი-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12200 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 12201 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 12202 | დეპორტივო-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 12203 | მალიორკა-ლევანტე | 1.6 | 2.0 |
| 12204 | ნუმანსია-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 12206 | ოსასუნა-მალაგა | 1.6 | 2.0 |
| 12207 | სევილია-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 12209 | ვალენსია-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12210 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | საუთჰემპტონი-არსენალი | 3.4 | 1.2 |
| 16003 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.3 | 2.9 |
| 16004 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.55 | 2.2 |
| 16005 | კრისტალ პალასი-ბირმინგემი | 1.6 | 1.9 |
| 16006 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.03 | 7.0 |
| 16008 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.35 | 2.5 |
| 16009 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.35 | 2.5 |
| 16010 | ნორვიჩი-სიტი | 1.75 | 1.7 |
| 16100 | ვერდერი-ბოხუმი | 1.1 | 4.55 |
| 16102 | არმინია-ნიურნბერგი | 1.45 | 2.3 |
| 16103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.15 | 4.0 |
| 16104 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 3.5 | 1.2 |
| 16105 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1.6 | 1.9 |
| 16106 | ჰერტა-ჰამბურგი | 1.4 | 2.4 |
| 16107 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.35 | 2.5 |
| 16108 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.35 | 2.5 |
| 16109 | შალკე-ჰანოვერი | 1.15 | 4.0 |
| 16157 | ბრეშა-სამპდორია | 1.6 | 1.9 |
| 16158 | ფიორენტინა-უდინეზე | 1.6 | 1.9 |
| 16159 | იუვენტუსი-სიენა | 1.05 | 6.3 |
| 16161 | ლაციო-პარმა | 1.4 | 2.4 |
| 16162 | ლეჩე-მესინა | 1.3 | 2.8 |
| 16163 | პალერმო-რომა | 1.55 | 2.1 |
| 16164 | რეჯინა-კიევო | 1.3 | 2.8 |
| 16165 | ბოლონია-ლივორნო | 1.3 | 2.8 |
| 16166 | კალიარი-ატალანტა | 1.15 | 3.7 |
| 16167 | ინტერი-მილანი | 1.65 | 1.85 |
| 16200 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1.25 | 3.0 |
| 16201 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1.2 | 3.3 |
| 16202 | დეპორტივო-რეალი | 2.0 | 1.6 |
| 16203 | მალიორკა-ლევანტე | 1.4 | 2.4 |
| 16204 | ნუმანსია-ბარსელონა | 3.5 | 1.2 |
| 16206 | ოსასუნა-მალაგა | 1.3 | 2.7 |
| 16207 | სევილია-რასინგი | 1.15 | 3.8 |
| 16209 | ვალენსია-ბეტისი | 1.4 | 2.4 |
| 16210 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1.55 | 2.1 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17001 | საუთჰემპტონი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | კრისტალ პალასი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ნორვიჩი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ვერდერი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | არმინია-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | დორტმუნდი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | ჰერტა-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | შალკე-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | ბრეშა-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17158 | ფიორენტინა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17159 | იუვენტუსი-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17161 | ლაციო-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17162 | ლეჩე-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17163 | პალერმო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17164 | რეჯინა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ბოლონია-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17166 | კალიარი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17167 | ინტერი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17201 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17202 | დეპორტივო-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17203 | მალიორკა-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17204 | ნუმანსია-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17206 | ოსასუნა-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17207 | სევილია-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ვალენსია-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |



ქართული მწვრთნელთა დუეტი შეიძლება ისევ ტრიოდ იქცეს: პაატა ნარიმანაშვილი, მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი



უკრაინელთა თავკაცი ვლადიმერ მუხა

# ვისთვის რეპეტიცია, ვისთვის გამოცდა

**რაგბს** მოწყურებულ ქართველ გულშემატკივარს დღეს ეროვნულ სტადიონზე შეეძლება მონატრებული ნაკრების ხილვა. სამ საათზე ბორჯღალოსნები წასაგებად განწირულ უკრაინას ეთამაშებიან, თუმცა შეხვედრა უმნიშვნელო, იქნებაო, ვერავინ იტყვის. პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ საქმე გაგვირთულდა და თუ მსოფლიოს თასზე მოხვედრა გვსურს, ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ. ამას გარდა, ერთი ფაქტორიც გასათვალისწინებელია.

ჯგუფში ისეთი ვითარებაა, რომ პირველი ადგილის ბედი შეიძლება ბურთების სხვაობამ გადაწყვიტოს. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, მეტოქე რაც შეიძლება მეტჯერ დავალელოვოთ. არც რუმინეთთან ჩასატარებელი ურთულესი მატჩია შორს. იქამდე ორიოდ კვირაღა დარჩა და დღევანდელი შეხვედრა მოსამზადებლად კარგად უნდა გამოვიყენოთ.

უკრაინელებს აქამდე ხუთჯერ გადავყრივართ და ხუთჯერვე დაგვიმარცხებია. წესით, გამონაკლისი არც დღევანდელი თამაში უნდა იყოს.

როგორც სტუმართა თავკაცი ვლადიმერ მუხა აცხადებს, გუნდს რამდენიმე წამყვანი მორაგბე არ ეყოლება. ჩვენს საზღვაო მეზობლებს შეკრებაც არ გაუვლიათ და ერთად ვარჯიში რაა, ისიც კი არ ჩაუტარებიათ. გუშინ ღამით ჩამოსული გუნდი დღეს სამ საათზე ევროათეულში მყოფ ნაკრებს ასე მოუმზადებელი რომ უნდა ერკინოს, როგორ არ ვთქვათ, რომ უდავო ფავორიტები ვართ.

ერთი სიტყვით, იმედია, დღეს მეტოქეზე იოლი გამარჯვებით გავიხარებთ, 12 მარტს კი რუმინეთთან უფრო მეტი სანერვიულო შეგვხვდება.

***

**გუშინ** რაგბის კავშირში მატჩისწინა პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტთა კითხვებს ბორჯღალოსანთა მწვრთნელთა დუეტმა მალხაზ ჭეიშვილმა და დავით ჩავლეიშვილმა უპასუხა. იქვე გაირკვა, რომ თურმე დუეტი ოფიციალურად უძღვება საქმეს, თორემ სინამდვილეში უკრაინასთან სათამაშოდ ნაკრებს ჭეიშვილ-ჩავლეიშვილის გარდა პაატა ნარიმანიშვილიც ამზადებს.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ შარშან სწორედ ეს ტრიო იდგა ნაკრების სათავეში, მაგრამ ნარიმანაშვილმა თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.

„პაატასთან დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკება დიდი ხანია, დავიწყეთ — გვითხრა ჭეიშვილმა — ამ ეტაპზე იგი ჩვენთანაა. რუმინეთთან თამაშისთვისაც დაგვეხმარება, მერე კი საბოლოოდ გადაწყვეტს, დარჩება თუ არა. იგი კარგი სპეციალისტია და იმედია, ნაყოფიერადაც ვიმუშავებთ".

წინასამატჩო განწყობა ქართულ ბანაკში, როგორც ყოველთვის, საბრძოლოა, თუმც მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებაში დარწმუნებული იყვნენ, მწვრთნელებმა გუშინ მაინც ფრთხილი საუბარი ირჩიეს — უკრაინა დებიუტანტი კია, მაგრამ მებრძოლი გუნდია და არც ისე ადვილი თამაში გველისო. დავით ჩავლეიშვილმა კი გვითხრა:

„ორშაბათიდან სრული შემადგენლობით ვემზადებით. ბიჭები მოწინააღმდეგის დასამარცხებლად არიან შემართულნი. ტრავმაც არავის აწუხებს. სასტარტო შემადგენლობა უკვე ცნობილია. რაც შეეხება თამაშის სტილს, პრიორიტეტი კვლავაც შერკინებით თამაში იქნება, თუმც ვეცდებით, წინა შეხვედრებთან შედარებით ორგანიზებულები ვიყოთ.

ეს შეხვედრა რუმინეთთან თამაშის წინ ჩვენთვის გენერალური რეპეტიციაა და რამდენიმე სათამაშო კომპონენტი მაქსიმალურად უნდა დავხვეწოთ, თუმც არც ისეა საქმე, უკრაინასთან მატჩს მთლიანად სავარჯიშოდ მივიჩნევდეთ. თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ რაც შეიძლება, დიდი სხვაობით გამარჯვებაზე ვიფიქრებთ".

***

**უკრაინელები** თბილისში წუხელ ჩამოფრინდნენ, თუმც ვლადიმერ მუხას მიერ ორი კვირის წინ დასახელებული გაფართოებული შემადგენლობიდან სადღეისო ოცდაორში ვინ შევიდა, ვერაფრით გავარკვიეთ. ჩვენი უკრაინელი მეგობრების რაგბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გულის ამაჩუყებელ ინფორმაციას წავაწყდით. მუხა თანამემამულე ჟურნალისტებს მომავალ მატჩზე საუბარში ფინანსურ გაჭირვებაზე ელაპარაკება:

„საქართველოს ნაკრებთან მატჩისთვის ლეგიონერების გამოძახება ვერ მოვახერხეთ. ის კი არა, სავარჯიშოდ ოდესელი, ხმელნიცკელი და ხარკოველი მორაგბეებიც ვერ ჩამოვიყვანეთ. ისინი საამატჩოდ თავიანთ კლუბებში ემზადებოდნენ. ძალიან ცუდია ისიც, რომ სათამაშო პრაქტიკა აშკარად გვაკლია. თან ზამთარში თამაშს შეგუებულნი არ ვართ. ფინანსური მხარდაჭერა რომ გვქონოდა, რამდენიმე ტესტ-მატჩს ჩავატარებდით და ფსიქოლოგიურადაც უკეთ მოვემზადებოდით. საქართველოსთან თამაში ჩემი გუნდისთვის უდიდესი გამოცდა იქნება, მჯერა, ბიჭები ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლებენ"

**ოთარ გალლაკელიძე**

### საქართველოს ნაკრები

| | |
|---|---|
| 15 | ბესიკ ხამაშურიძე |
| 14 | ლექსო გუგავა |
| 13 | თედო ზიბზიბაძე |
| 12 | ლაშა ფირფილაშვილი |
| 11 | ირაკლი მაჩხანელი |
| 10 | ოთარ ბარკალაია |
| 9 | ირაკლი აბუსერიძე |
| 8 | ბესიკ უდესიანი |
| 7 | რატი ურუშაძე |
| 6 | ვასილ კაცაძე |
| 5 | მამუკა გორგოძე |
| 4 | ილო ზედგინიძე |
| 3 | დავით ზერექაშვილი |
| 2 | აქვსენტი გიორგაძე |
| 1 | მიხეილ სუჯაშვილი |
| **სათადარიგონი** | |
| 16 | ლევან ჯაველიძე |
| 17 | ავთო კოპალიანი |
| 18 | ლევან დათუნაშვილი |
| 19 | ზვიად მაისურაძე |
| 20 | გიორგი კაჭარავა |
| 21 | ლუკა ხაჩირაშვილი |
| 22 | დავით კიკნაძე |

# გამარჯვების მოსურნეთა ძვლების მტვრევა იქნება

**რაგბი** მოგვეძალა ამ უქმეებზე: იქით ზე-თორმეტიო, აქეთ 6 ერის თასიო, ცხვირწინ კიდევ უკრაინასთან მატჩი გვაქვს.

6 ერის თასზე დღეს და ხვალ მორიგი ტური გაიმართება. დღეს 2 თამაშია. შოტლანდია იტალიას მასპინძლობს და ეს შეხვედრა იმით არის საინტერესო, რომ ორივე გუნდს ორ-ორი მარცხის შემდეგ საკუთარი გულშემატკივრის გახარება განსაკუთრებულად სურს. უკეთესი შანსი არც ექნებათ. ყველაზე სუსტები ამ ტურნირში ესენი არიან და ბობოლათა დამარცხება გაუჭირდებათ. უფრო შოტლანდიაა ფავორიტი. ისინი შინ თამაშობენ. ამასთან, მათ წლეულს შარშანდელთან შედარებით მოუმატეს.

დღესვე საფრანგეთი უელსს ეთამაშება. აქამდე ორივე დაუმარცხებლად მოვიდა და ვინძლო დიდი ბრძოლა გამოვიდეს. ინგლისი ორივეს დამარცხებული ჰყავს. გარდა ამისა, საფრანგეთმა შოტლანდიას სძლია, უელსმა კი იტალიას.

ბოლო მატჩი ხვალ არის. გემრიელი ლუკმა ბოლოსთვისო, ნათქვამია და ორგანიზატორებსაც ასე გამოუვიდათ. ირლანდიელები, რომლებმაც წლეულს იტალიაც დაამარცხეს და შოტლანდიაც, ინგლისს მასპინძლობენ. კელტ-იბერებისა და ანგლოსაქსების ჯახს რაიმე დამატებითი მოტივაცია არ სჭირდება, უამისოდაც ძვლების მტვრევა იქნება, მაგრამ დამატებითი დატვირთვა ამ მატჩს მაინც ახლავს. ირლანდია ტურნირში გამარჯვებას ეშურება და მეტოქეს აუცილებლად უნდა მოუგოს, ინგლისს კი ორი მარცხის შემდეგ თავმოყვარეობა აქვს შელახული და მოედანზე საომრად გამოვა.

**ლადო ჭულუქიძე**



ირლანდიელებმა ინგლისელები შარშან სტუმრად 19:13 დაამარცხეს

# ცქიტიშვილის ამნისტია

## დენვერმა ქართველი გოლდენ სტეიტს გადაულოცა



**ნიკა** ცქიტიშვილის სამწლიანი დენვერული ოდისეა დასრულდა. დრაფტის მოწინავე რიგებიდან „ნაგეტსში" სიხარულით და ეიფორიულად მისული, მოგვიანებით კი იმედგაცრუებული და გუნდის ხელმძღვანელობაზე გულაყრილი ქართველი თავის პირველ ნბა-ურ გუნდს ემშვიდობება.

გუშინწინ ნბა-ში დედლაინის, სატრანსფერო მანევრების ბოლო დღე იყო და ცქიტიშვილიც იმ 35 კალათბურთელს შორის მოხვდა, რომლებმაც გუნდები გამოიცვალეს. არაერთი დიდი ვარსკვლავი გაება სატრანსფერო აბლაბუდაში, მაგრამ ჩვენ, ცხადია, ჩვენიანი გვაინტერესებს, რომელსაც დენვერელებმა „გოლდენ სტეიტისკენ" დაულოცეს გზა.

მაშ ასე, „ნაგეტსმა" ოკლენდელებს ცქიტიშვილთან ერთად როდნი ვაიტიც დაუთმო და სანაცვლოდ ედუარდო ნაჩერა, ლუის ფლორესი და 2007 წლის დრაფტში პირველ რაუნდში არჩევანის უფლება მიიღო.

ამ მოთამაშეთაგან ყველაზე გამოსარჩევი ნიკა ცქიტიშვილია, მაგრამ არა მარიფათით, არამედ თავისი ხელფასითა და ნბა-ში მოსვლის გზით.

„სკიტა" ერთ-ერთი პირველია იმ ევროპელთაგან, ვისაც დრაფტზე წარმატება უნახავს. 2002 წლის დრაფტზე დენვერელებმა ქართველი ფორვარდი მეხუთე ნომრად აირჩიეს, რითაც უდიდესი ნდობა გამოუცხადეს, მაგრამ ცქიტიშვილმა იმედები ვერ გაამართლა და თავისი კონტრაქტის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე „გოლდენ სტეიტში" აღმოჩნდა.

„როცა მე აქ პირველად მოვედი, ძალის მოზღვავებას ვგრძნობდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერს შევძლებდი — ამბობს ცქიტიშვილი — მაშინ უდიდესი თვითრწმენა დამეუფლა და ახლა ვფიქრობ, რომ ეს იყო ჩემი მინუსი."

როგორც დრაფტის მოწინავეს, დენვერელებმა ცქიტიშვილს 2002-03 წლების სეზონში უდიდესი ნდობა გამოუცხადეს და თუმც ქართველი არა და არ „იხსნებოდა", რეგულარული ჩემპიონატის თითქმის ყველა მატჩში (81) ათამაშეს. ნიკამ რომ ვერც მომდევნო სეზონში გაშალა ფრთები, სათადარიგოებთან დამეგობრება მოუწია და მას შემდეგ არაერთხელ სცადა „დენვერიდან" წასვლა.

მან ორიოდ თვის წინ მენეჯერიც კი გამოიცვალა, მაგრამ მერე „ნაგეტსში" ახალი მწვრთნელი მივიდა და „სკიტამაც" უკეთესი მომავლის იმედით წასვლა დროებით გადაიფიქრა.

„მიმაჩნია, რომ „სკიტა" ნბა-ს ღირსეული წევრია, მაგრამ მას სჭირდება თავდაჯერება და გამოცდილების დაგროვება — თქვა დენვერელთა ახალმა თავკაცმა ჯორჯ კარლმა — უამისოდ ნბა-ში ვერავინ ვერაფერს მოახერხებს."

ამ სიტყვების მიუხედავად, ქართველი ფორვარდი კარლის საროტაციო სიაში მოხვდა და „დენვერიც", როგორც იქნა, შეელია ცქიტიშვილს.

„სკიტას" დენვერიდან წასვლის პირველი მოწინააღმდეგე კლუბის პრეზიდენტი და მესაკუთრე კიკი ვანდევეი გახლდათ, რაკი თავის დროზე სწორედ მას ეკუთვნოდა დრაფტზე ქართველის არჩევის იდეა.

ვანდევეის ლამის ბრმად სჯეროდა ქართველის, მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე მასაც ამოეწურა მოთმინების ფიალა და როცა ცქიტიშვილი გუნდის ნებას არ დაჰყვა, „გოლდენ სტეიტში" გაუშვა.

არადა, დენვერელები არ აპირებდნენ „სკიტასთან" ურთიერთობის გაწყვეტას და მას ევროპაში უპირებდნენ განათხოვრებას.

„ცქიტიშვილს რომ ჩვენთვის დაეჯერებინა და გამოცდილების მისაღებად ევროპაში წასულიყო, აჯობებდა, მაგრამ მან ეს არ ისურვა და იძულებულები გავხდით, გაგვეშვა — ამბობს ვანდევეი — „გოლდენ სტეიტი" მისთვის მორიგი შანსია და ეგებ იქ მეტი ათამაშონ."

ქართველს უჭირს დენვერთან განშორება, რაკი რაც ამერიკულ მიწაზე დაადგა ფეხი, ამ ქალაქში ცხოვრობს.

„მე აქ ბევრი მეგობარი შევიძინე და უამრავი კარგი მოგონება მაკავშირებს დენვერთან. ეს ქალაქი ჩემთვის მშობლიურივითაა, თითქოს საკუთარ ოჯახში ვიყო. მიმძიმს აქედან წასვლა, მარამ ეს ბიზნესია და მის კანონებს ვემორჩილები. ეგებ სწორ ნაბიჯს ვდგამ, მაგრამ ახლა ცუდად ვგრძნობ თავს."

ნიკას „გოლდენ სტეიტში" არანაკლები კონკურენცია ხვდება, ვიდრე „დენვერში" იყო, თუმც კალიფორნიაში უფრო მეტი შანსი აქვს თვითდამკვიდრებისთვის. მისი კონკურენტები იქნებიან ნიჭიერი და უკვე დაღვინებული ახალგაზრდა ფორვარდი მაიკ დანლივი, სერბი ფორვარდი ჟარკო ჩაბარკაპა და მეტწილად მეფარეობაზე ორიენტრებული ტროი მერფი.

**ირაკლი პერტაია**

---

# ავიამშენი VS სტუ

## ტექნიკოსები საკაძის ხმალმა დააფრთხო

**ხვალ** მესამე წრე ლიდერთა მატჩით სრულდება. „სტუ-ჯეოსელსა" და „ავიამშენს" მიმდინარე სეზონში ყველაზე ნაკლები დამარცხება აქვთ და ხვალინდელი ჯახის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერი გამოიკვეთება.

ამ გუნდებმა ბოლო ტურში მძიმე ბრძოლები გადაიტანეს, „ავიატორებმა" რუსთავში 2 ქულით აჯობეს „თუჯს", ტექნიკოსები კი სულაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან დამარცხდნენ.

გუშინ კაფე „მსოფლიოს სპორტში" გამართულ საამმატჩო პრესკონფერენციაზე გუნდის ხელმძღვანელებმა თავდაპირველად განვლილ მატჩებზე ისაუბრეს...

პრესკონფერენციას გუნდების მთავარი მწვრთნელები არ დასწრებიან. ორივე მხარეს მწვრთნელის ასისტენტები წარმოადგენდნენ და პირველი სიტყვა ტექნიკოსებს, კერძოდ კი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს ერგო:

„თსუ-სთან მატჩმა საკმაო ენერგია წაგვართვა, თუმც ხვალინდელი მატჩისთვის ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი. ბოლო შეხვედრის წაგებას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, რადგან თსუ არაა ჩვენი კონკურენტი. სერიოზულად დაზარალებულები ვართ, აბსოლუტურად ყველა მოთამაშეს რაღაც აწუხებს. თსუ-ელები ხელ-ფეხს საკაძის ხმალივით იქნევდნენ, ძალიან უხეშად გვეთამაშებოდნენ."

ვაჟა მხეიძე, „ავიამშენის" მწვრთნელი: „ჩვენც დიდი ენერგია შევალიეთ ბოლო ტურის მატჩს, რუსთავში ბეწვზე გადავრჩით. იმ მატჩში არ იყო გუნდის მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე გახლდათ. ბატონი ლევანი რომელიღაც პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ რაში, ჯერჯერობით არც მე ვიცი. რუსთავში თამაში კი მართლაც ჯოჯოხეთია. მაყურებლის ყიჟინას რომ თავი დავანებოთ, მსაჯებიც გულგრილნი ჩანან, როცა მასპინძლები უხეშობენ."

მსაჯობის მიმართ პრეტენზია ჩერქეზიშვილს ჰქონდა, თუ ჰქონდა: „რაც „სტუ-ჯეოსელში" ვმუშაობ, წამდაუწუმ მესმის, რომ მსაჯები ჩვენს გუნდს სწყალობენ. ამას არაერთი მწვრთნელი ამბობს და მსაჯებიც სულ იმის ცდაში არიან, ეს აზრი გააქარწყლონ და ამით სტუ ზარალდება. მე მინდა, არბიტრებს ვუთხრა, რომ თავი დაანებონ ეჭვიანი ადამიანების გამონათქვამებისთვის ყურის გდებას და იმსაჯონ მიუკერძოებლად. იმის გამგონენი, ხალხი სტუ-სადმი მიკერძოებაში გვადანაშაულებსო, მსაჯები ძირითადად ჩვენი გუნდის წინააღმდეგ უსტვენენ. ვნახოთ, ზეგ როგორი მსაჯობა იქნება. ეგებ ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩით არბიტრებით."

**ირაკლი პერტაია**

---



# ფედერერს აკრეფა უჭირს



### დუბაის ვაჟთა ღია პირველობა

მაგარსაფარი

საპრიზო 975 ათასი $

### მეორე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 4:6 6:3 7:6 (8:6); **ტიმ ჰენმანი** (3, ბრიტანეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 7:6 (7:5) 6:1; **მიხაილ იუჟნი** (7, რუსეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:5 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (8, ხორვატია) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:7 (4:7) 6:4 7:6 (10:8)

**ამქრის** ოდინდელი პირველოსნის მოსადრეკად ამჟამინდელ პირველოსან როჯერ ფედერერს ბეწვის ხიდზე გავლა და ორი მატჩბურთის გადარჩენა მოუხდა. უცნაურია, მაგრამ ეს უკვე ზედიზედ მესამე მატჩი იყო, რომელშიც ზეგარდმო შვეიცარიელმა მეტოქეს მხოლოდ გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზელა აჯობა. ხუან კარლოს ფერერომ, ვინაც შარშან ტრავმიანობისა და გასავათებულობის გამო რეიტინგსიის 98-ე (!) საფეხურზე დაეშვა, თავიდან მართლაც კარგად გამოიყენა ფედერერის უნებლიე მიქარვები, თუმცა გამარჯვების მოსახვეჭად მერე აღარც თავდაჯერებულობა ეყო და არც ილაჯი. ფედერერი ნამატჩევს იმედგაცრუებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ტემპის აკრეფა თავიდანვე ისევ ვერ შეძლო, თუმცა მატჩში გარდატეხის შეტანითა და ჩარხის წაღმა შეტრიალებით კვლავაც კმაყოფილობდა.

### მეჰიკოს ღია პირველობა

აკაპულკო. თიხნარი

საპრიზო 618 ათასი $

### მეოთხედფინალი

**რაფაელ ნადალი** (8, ესპანეთი) — გილერმო კორია (3, არგენტინა) 7:5 6:3; **აგუსტინ კალიერი** (არგენტინა) — ირჟი ნოვაკი (5, ჩეხეთი) 7:5 6:1; **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (6, იტალია) 4:6 6:3 6:4; **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:4 3:6 7:6 (7:5)

### QATAR TOTAL OPEN

დოჰა. მაგარსაფარი

საპრიზო 600 ათასი $

### მეორე წრე

### მეოთხედფინალი

**ამელი მორეზმო** (1, საფრანგეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:2 6:2; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3 6:2; **ალიშა მოლიკი** (4, ავსტრალია) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:2 3:6 7:6 (7:1); **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:4 6:1

**ლევან ქელაურაძე**

# ილუმჟინოვი თბილისში იმსჯელებს



**გუშინ** თბილისს ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ეწვია. პრეზიდენტს თან საჭადრაკო სამყაროში მოტრიალე 19 მაღალჩინოსანი ჩამოჰყვა და დღეს დილის 9 საათიდან სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომას ჩაატარებენ. სხდომა ჟურნალისტებისთვის დახურული იქნება და მის შედეგს ხვალ 12 საათზე „ქორთიარდ მარიოტშივე" გამართულ პრესკონფერენციაზე გვეტყვიან. მანამდე კი აირჩევენ ფიდეს გენერალურ მდივანს, განიხილავენ მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების საკითხს. იმსჯელებენ ზურაბ აზმაიფარაშვილის სასამართლო საკითხზე და გადასინჯავენ პრაღის ხელშეკრულებას. დასასრულს ყველა კონტინენტური საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი გამოვა და თავიანთ მოხსენებას გააკეთებენ.

**ლაშა ბეგიაშვილი**

## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 22 თებერვალი - 10 მარტი

# კასპაროვმა კასიმჯანოვს ქულა გაუყო

**II ტური**

გარი კასპაროვი (რუსეთი) — რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) 0,5:0,5
მაიკლ ადამსი (ინგლისი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0
*ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) — დაისვენა*

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1 ქულა/1 თამაში |
| 2 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 1/2 |
| 3 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1/2 |
| 4 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 1/2 |
| 5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1/2 |
| 6 | ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 0,5/1 |
| 7 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5/2 |

**პლანეტის** უძლიერესმა მოჭადრაკემ გარი კასპაროვმა ზედიზედ მეორე პარტია დაასრულა ყაიმით. ამჯერად მან ქულა ფიდეს ჩემპიონ უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვს გაუყო. შეგახსენებთ, რომ ორივე მოჭადრაკე მსოფლიოს ჩემპიონატის სანახევარფინალო მატჩში ჯერ კიდევ იანვარში უნდა შეხვედროდა ერთმანეთს, თუმც თამაში არ შედგა და ეგებ საერთოდაც ჩაიშალოს. ლინარესულ ჯახამდე სპეციალისტებმა ამიტომაც ივარაუდეს, ამ დიდოსტატებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან დასამალი, მთელ თავიანთ ოსტატობას გვაჩვენებენ და ნამდვილ ბრძოლასაც ვიხილავთო.

კასპაროვმა მესამე სვლაზე პაიკი გაუცვალა მეტოქეს, ოთხ სვლაში კი როქი გააკეთა და ლაზიერის ფლანგზე ფიგურების განვითარებას შეუდგა. კასიმჯანოვი აგრესიულ თამაშზე გადავიდა, იერიშები წამოიწყო და ფიგურების ხოცვა დაიწყო. გულხელდაკრეფილი არც კასპაროვი იჯდა, უზბეკს მედგრად დაუხვდა, მოიერიშე ჯარი მიუნგრია და 23-ე სვლაზე სერიოზულ უპირატესობას დაეუფლა. მომდევნო სვლაზე მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა ფიდეს ჩემპიონს კუ ეტლში დაუთმო, შემდეგ კი მძიმე ფიგურებით მიაწვა და ლაზიერიც გაუცვალა. კასიმჯანოვი ნელ-ნელა გამოცოცხლდა, ხელმწიფეს საიმედო დაცვა გაუკეთა და 35-ე სვლაზე დაკარგული ხარისხიც დაიბრუნა. სადავეების ხელიდან გაშვებას კასპაროვი ვერ შეურიგდა, კვლავ გაცვლებს მიმართა და 38-ე სვლაზე უზბეკს ერთადერთი ეტლიც მოუკლა.

წესით, კასპაროვს ახლა მაინც უნდა ემარჯვა, თუმც ლაზიერის ფლანგიდან მეტოქის პაიკი საკმაოდ გაექცა და 51-ე სვლაზე ყაიმს დასჯერდა.

წინა ტურში დასვენებულმა ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა უკვე ყოფილ ლიდერს, ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს მოუგო და პირველი ადგილი ჩამოართვა, პარტია კი ასე წარიმართა.

მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს, თითო-თითო პაიკი გაცვალეს და ფიგურების მობილიზებას შეუდგნენ. მე-14 სვლაზე ანანდმა მხედარში კუ მისცა ტოპალოვს, დაფაზე დამყარებული მყუდროება დაარღვია და დიდი გაცვლები დაიწყო. ხოცვა-ჟლეტაში უპირატესობას ინდუსი დაეუფლა, ზუსტი სვლები გააკეთა, ლაზიერის ფლანგი თავის სასარგებლოდ მოაშიშვლა და 48-ე სვლაზე პაიკი ლაზიერად აქცია. ტოპალოვმა ახალგამომცხვარი ლაზიერი მხედრით მოკლა, ამით კი ხარისხი დაკარგა და ცენტრში დარჩენილი პაიკების გაყვანა სცადა, თუმც ანანდმა იგი უხერხულად გაჭედა და 59-ე სვლაზე ფარ-ხმალიც დააყრევინა.

**ლაშა ბეგიაშვილი**





კასპაროვმა და კასიმჯანოვმა პარტია ასე დაასრულეს

# სახალისო ჭადრაკი

## სალაღობო ამბები მეექვსე ჩემპიონის ცხოვრებიდან

მიხეილ ბოტვინიკზე უამრავ საინტერესო ამბავს ყვებიან. სიმართლე გითხრათ, გაგვიჭირდა იმის განსაზღვრა, ამბებიდან რომელი მოგვეთხრო და რომელი გადაგვენახა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონზე საინტერესო ამბების თხრობას დღეს დავიწყებთ და მომდევნო შაბათს გავაგრძელებთ



მიხეილ ბოტვინიკი 17.08.1911 — 05.05.1995

### ბრძენი გენერალი

დავიდ ბრონშტეინთან მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მატჩისთვის რომ ემზადებოდა, ბოტვინიკმა ახალი საჭადრაკო ლიტერატურის გაცნობა გადაწყვიტა. უახლესი უცხოური გამოცემები ფიზკულტურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ინახებოდა და მკითხველებს შინ არ ატანდნენ. ბოტვინიკმა ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, იმავდროულად კგბ-ს გენერალ აპოლონოვს სთხოვა, ლიტერატურის შინ წაღების ნება მომეცითო.

გენერალმა ეჭვით ჰკითხა: კი მაგრამ, აქამდე როგორ ემზადებოდით ტურნირისთვის, ლიტერატურას არ კითხულობდით?

— რა თქმა უნდა, ვკითხულობდი — უპასუხა ბოტვინიკმა.

— ჰოდა, წაკითხული თუ გაქვთ, ხელახლა გადაკითხვა საჭირო არ არის?

### შურისძიება

თუ წინა ამბავი მაინცდამაინც საინტერესო არ მოგეჩვენოთ, მისი გაგრძელება წაიკითხეთ. ბოტვინიკმა აპოლონოვზე ბოლმა გულში ჩაიდო და შურისძიება გადაწყვიტა.

ერთხელაც აპოლონოვმა ბოტვინიკი თავისთან დაიბარა და ჩემპიონსაც შურისძიების საშუალება მიეცა. მან მოახერხა, რომ იმავე დღეს, აპოლონოვთან შეხვედრის მერე მისთვის აუდიენცია კრემლში დაენიშნათ.

ბოტვინიკი აპოლონოვთან დათქმულ დროს მივიდა. აპოლონოვს მოახსენეს. გენერალმა, მოჭადრაკისთვის რომ ეჩვენებინა, ვინ იყო უფროსი, მოცდა უბრძანა. ბოლოს, როცა ბოტვინიკი გენერლის კაბინეტში მოხვდა, მასპინძელი მაშინვე გააფრთხილა, სხვაგან მელოდებიან და საუბარი არ გამოგვივაო.

ბოტვინიკის გათვლა ზუსტად მოხვდა მიზანში: აპლონოვმა ღრიალი დაიწყო, ჩემზე მნიშვნელოვანი საქმე ვის უნდა ჰქონდესო და ბოტვინიკი არ გაუშვა.

საბოლოოდ, ბოტვინიკმა კრემლში აუდიენციაზე რამდენიმე საათი დააგვიანა, აუდიენცია კი თვით სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვთან ჰქონდა. ახლანდელ ენაზე რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრთან.

მისალმებისთანავე ბოტვინიკმა მოლოტოვს დაგვიანებისთვის მოუბოდიშა: მაპატიეთ, მაგრამ ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე აპოლონოვი თვლის, რომ მასთან შეხვედრაზე მნიშვნელოვანი საქმე არ არსებობს.

აპოლონოვი იმავე დღეს სამსახურიდან პანღურით გააგდეს.

### ეჭვიანობა

გარდა იმისა, რომ ბოტვინიკმა წყენის დამახსოვრება იცოდა, საოცრად ეჭვიანიც იყო. სმისლოვთან მატჩის დროს, ერთ-ერთი პარტიის დასრულების მერე, ბოტვინიკმა თავისი სეკუნდანტი იური ავერბახი და მოჭადრაკე ესტრინი მანქანით მიაცილა შინამდე. გზად, ცხადია, პარტიას არჩევდნენ. ავერბახის სახლამდე მისულები არ იყვნენ, რომ სეკუნდანტმა ბოტვინიკს მანქანის გაჩერება სთხოვა, ცოტას ფეხით გავივლიო.

ბოტვინიკი კარგა ხანს უყურებდა ფეხით მიმავალ ავერბახს, სანამ ის თვალს არ მიეფარა და ჩაილაპარაკა: ყველაფერი გასაგებია, სმისლოვთან გაიქცა ჩვენი ანალიზის საჩვენებლად.

### დუმილი ოქროა?

რაკი ერთხელ აითვალწუნა, ბოტვინიკს ავერბახზე აზრი აღარ შეუცვლია. ბოტვინიკი მეგობრებს უყვებოდა: ერთხელ ჩემს აგარაკზე ვართ და სმისლოვთან გადადებულ პარტიას ვარჩევთ, საუკეთესო გაგრძელებას ვეძებთ. მე რაღაცეებს ვამბობ, ხმამაღლა ვმსჯელობ, ფიგურებს ვაადგილებ, ავერბახი კი ხმისამოუღებლად ზის. გადის ნახევარი საათი, ერთი საათი, ავერბახი კი პოზას არ იცვლის. უცბად გადმოიხარა და ხელი დაფისკენ წაიღო. გამიხარდა, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ჭკვიანური მოიფიქრა-მეთქი. მაგრამ წარმოიდგენიათ, რა ქნა — დაფაზე დავარდნილი ბალახის ღერი აიღო, გადააგდო და ისევ უძრავად დაჯდა.

### დედის გვარი

ერთხელ ბოტვინიკმა გარი კასპაროვი გაკიცხა, საბჭოთა სისტემასთან პრობლემები რომ არ შექმნოდა, ნამდვილი გვარი — ვაინშტეინი უარყო და დედის გვარზე გადავიდაო.

— აი, მეც ებრაელი ვარ, მაგრამ მტკიცედ დავდექი და დედის გვარზე არ გადავედი — ამაყად განაცხადა ბოტვინიკმა.

— დედათქვენი რა გვარი იყო? — ჰკითხეს ბოტვინიკს.

ამ კითხვამ ბოტვინიკი, ცოტა არ იყოს, დააბნია:

— რაბინოვიჩი.

**არტემ გეშაძოვი**

# დანიის პრინცი

1 მარტს დაიწყება როლექსის რეგატა, რომელშიაც ბარე 28 იახტა ჩაებმება. ნათხნული სიდნეიში შეყრილან, ამ იახტათაგან ერთ-ერთის, „ნანოკის" შკიპერი კი დანიის უფლისწული ფრედერიკი (შუაში) გახლავთ, რომელსაც მალე ცოლი, პრინცესა მარიც შეუერთდება. ერთხანს დანიის სხვა პრინცს, ჰაშლეტსაც მოუწია ნათხნობამ ოლონდაც სხვა ვითარებაში.




REUTERS სიდნეიდან



REUTERS სანტიაგოდან

# სანსეთ ბიჩზე

ჰავაიზე მიმდინარეობს „მონსტერ ენერჯი პროს" მოსერფეთა ტურნირი. უკვე მეოთხედფინალში გასულა იაპონელი მასატოში ონო და სანსეთ ბიჩზედ საუკეთესოობის იმედიც ჰქონია.

# ლენოქსი ერთობა

ლენოქს ლუისი ნიუ იორკშია და იქ მუსიკის მაგნატ დეიმონ დეშს გადაჰყრია ერთ საკრივო შოუზე. ლენოქსი მესამე კაცია კრივის ისტორიაში, ჩემპიონად რომ წავიდა რინგიდან.



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS ნიუ იორკიდან

# მედისონ სკვერ გარდენის თვალიერება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამრჩევი კომისიის წევრები დამსხდარან „მედისონ სკვერ გარდენის" პირველ რიგში და „ნიკსისა" და „სიქსერზის" კალათბურთს უმზერენ. იერზედ დიდად არც აინტერესებთ ეს თამაში, საქმე სხვაა: თუკი ნიუ იორკი 2012 წლის ოლიმპიადას უმასპინძლებს, კალათბურთის შეჯიბრს სწორედ „მედისონ სკვერ გარდენში" ჩაატარებენ. ამიტომ ეს პატივცემული ხალხი დარბაზის დასათვალიერებლად მოსულა. ამავე თამაშზე ხალისიანი ხალხიც იყო: ბეისბოლისტ მაიკ პიაზას ცოლი, მსახიობი ალისია რიხტერი (მარცხნივ) და მისი მეგობარი ლუიზა დუგანი. ამათ უფრო შეირგეს კარგი კალათბურთი.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნაზიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი,
ლადო ხოშტარია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ლევან კულაურიძე
ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge